ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 27 აპრილი 2002 №75 (1597) | ფასი 50 თეთრი


# ლევან კობიაშვილი ლევერკუზენისთვის საინტერესო კაცია

# Bild და kicker ქართველის ბაიერში გადასვლაზე ალაპარაკდნენ



„ლევერკუზენის“ მენეჯერ რაინერ კალმუნდს სურს, ლევან კობიაშვილი კლაუს ტოპმიოლერს ჩააბაროს



ოჯახმაც კი დაადასტურა და მოწინავე გერმანული პრესა ხომ აჭრელდა ცნობებით ლევან კობიაშვილის ლევერკუზენის „ბაიერში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე. „კიკერმა“, „ბილდმა“ და სხვებმა ინფორმაციის წყაროდ თვით „ფარმაცევტთა“ მენეჯერი, ბუთხუზა რაინერ კალმუნდი გამოიყენეს, რომელმაც განაცხადა, ეს ბიჭი მაინტერესებსო და კალმუნდის სიტყვა კანონია, ალარ უნდა ლაი-ლაი... ერთ ცნობას მეორე ამყარებს, თითქოს „ბაიერის“ მცველი ლუსიო მადრიდის „რეალში“ აპირებდეს გადასვლას, მაგრამ ახლა, როცა „ბაიერი“ დიდების მწვერვალიდან ხელის განვდენაზეა, როცა, საცაა მოიგებს ბუნდესლიგას, როცა „მანჩესტერთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ ბურთების მშვენიერი მარაგი შეიქმნა, არავისა აქვს ათი თავი და არავინ დაიწყებს ლაპარაკს გადასვლა-გადმოსვლებზე, ამიტომ შეფები და აგენტები დუმან, არც „ფრაიბურგიდან“ ისმის რაიმე დასტური, თავად კობიაშვილი კი მთავარ საზრუნავად გუნდის პირველ ბუნდესლიგაში დატოვებას ასახელებს და მწვრთნელი ფოლკერ ფინკეც მის ნესიერებასა და ერთგულებაზე ლაპარაკობს. წინილების დათვლის დრო არ დამდგარა, ჯერ სეზონი უნდა გაილიოს.

ვანო ოქროპირიძის წერილი ბერლინიდან

იხილეთ მეოთხე გვერდზე




## ნუ დაიღლით პირს, ნუ იჭყლიტავთ ტვინს

# ჩემპიონატი ბოლო წუთამდე გრძელდება

რაც ევროპულ ჩემპიონატებში გამარჯვებული ტურების რაოდენობა ოცდაათს გადასცდა, რაღაცის გარკვევის მოლოდინში ვართ. ეს რაღაც, ცხადია, საჩემპიონო კონტურების გამოკვეთას ნიშნავს და, ასე თუ ისე, მხოლოდ ინგლისში გამოიკვეთა. ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაშიც სრული ბუნდოვანებაა. თუ წინა სეზონების გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ, როცა ბუნდესლიგისა და სერია A-ს გამარჯვებულები არათუ ბოლო ტურში, ბოლო ტურის მატჩების ბოლო წუთებზე ვლინდებოდა, რა გასაკვირია, რომ ჩემპიონთა ტიტულები თავის მფლობელებს ჯერაც ელის.

„არსენალს“ სულ ცოტა უკლია პრემიერლიგის მეორე ტიტულამდე და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰეგემონიის დამხობამდე, ამ ამბის გარკვევა ეგებ „მანჩესტერ“ — „არსენალის“ გადადებულ შეხვედრამდეც მოხდეს.

ესპანეთში „რეალს“ ერთი სული აქვს, როდის დაუცდება ფეხი „ვალენსიას“, რომელსაც ფეხი არა და არ უცდება, ფეხის დასაცდენი დრო კი სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება. ამ ორის წაქცევას კი „დეპორტივო“ ელის, რომელსაც ჯიუტად არ სურს საჩემპიონო რბოლაში თავი დამარცხებულად ცნოს.

ფრანც ბეკენბაუერმა ბუნდესლიგაში „ლევერკუზენის“ უძლიერესობა აღიარა, მაგრამ „კაიზერ ფრანცის“ ავტორიტეტი ვინძლო არაფერს ნიშნავდეს ლევერკუზენელთა მეტოქეთათვის და „დორტმუნდისთვის“, რომელმაც ოთხქულიანი ჩამორჩენა ლიდერთან ორამდე შეამცირა და საჩემპიონო იმედიც გაუორმაგდა. გერმანიაში არანაკლები ომია ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის.

იტალიაზე ლაპარაკისას კი, სჯობს, სიტყვაც არ დავძრათ ფავორიტობაზე. კვირა საღამოს სატურნირო ცხრილს — „ინტერი“, „იუვენტუსი“, „რომა“ — რომელიც გინდა შეიძლება მოექცეს სათავეში. ასევე შეიძლება, ჩემპიონის ვინაობაც გაირკვეს, მაგრამ ამის, აბა, ვის სჯერა.

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

თბილისი. ეროვნული. დღეს. 18 საათი

## დინამო VS ტორპედო





# ივო შუშაკი მინისძვრის შემდეგ აფეთქებას გვპირდება

დღეს საქმე ისეა, რომ სტადიონზე წასვლა აუცილებელიც კია.

დღეს „დინამო თბილისი“ მარად მეტოქეს, ქუთაისის „ტორპედოს“ მასპინძლობს. საქართველოს ორი ჩემპიონი ჰყავს და ორივე მოედანზე იქნება. ორივემ აშკარად უმატა ხარისხს. ერთი ზედიზედ მესამე ჩემპიონობისკენ მიიწევს, მეორე ხელის შეშლას ლამობს.

„დინამო“ და „ტორპედო“ ეზოშიც რომ თამაშობდნენ ოთხი-ოთხზე „ტუფლებით“, მაინც ომი იქნება.

„დინამოს“ შემკვრელი და მომამჯობინებელი ივო შუშაკი და „ტორპედოს“ გამჩემპიონებელი რეზო ძოძუაშვილი ერთმანეთს კითხვებს დაუსვამენ.

იხილეთ მესამე გვერდი





# ჟორჟიკაშვილი გერმანელებმა ვერ გააკვირვეს

**17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი**
დანია. 27 აპრილი-10 მაისი
uefa·european under 17 championship

## A ჯგუფი
- დანია
- ინგლისი
- ფინეთი
- ჰოლანდია

**27 აპრილი**
ფარუმი
დანია – ჰოლანდია
გლადსაქსი
ფინეთი – ინგლისი

**29 აპრილი**
ფარუმი
დანია – ფინეთი
გლადსაქსი
ჰოლანდია – ინგლისი

**1 მაისი**
ჰვიდორი
ინგლისი – დანია
აიოგი
ჰოლანდია – ფინეთი

## B ჯგუფი
- საფრანგეთი
- პორტუგალია
- შვეიცარია
- უკრაინა

**28 აპრილი**
აიოგი
შვეიცარია – უკრაინა
ლიუნგბიუ
პორტუგალია – საფრანგეთი

**30 აპრილი**
ჰერფიოლგე
შვეიცარია – პორტუგალია
ვალბიუ
უკრაინა – საფრანგეთი

**2 მაისი**
ჰერფიოლგე
საფრანგეთი – შვეიცარია
ვალბიუ
უკრაინა – პორტუგალია

## C ჯგუფი
- ესპანეთი
- იუგოსლავია
- მოლდოვა
- ჩეხეთი

**27 აპრილი**
ნაასკოვი
მოლდოვა – იუგოსლავია
ნიკიობინგი
ესპანეთი – ჩეხეთი

**29 აპრილი**
ნიკიობინგი
ესპანეთი – მოლდოვა
ნაასკოვი
ჩეხეთი – იუგოსლავია

**1 მაისი**
ნიკიობინგი
ჩეხეთი – მოლდოვა
ნაასკოვი
იუგოსლავია – ესპანეთი

## D ჯგუფი
- გერმანია
- უნგრეთი
- პოლონეთი
- საქართველო

**28 აპრილი**
სლაგელსე
გერმანია – საქართველო
როსკილდე
უნგრეთი – პოლონეთი

**30 აპრილი**
სლაგელსე
გერმანია – უნგრეთი
როსკილდე
საქართველო – პოლონეთი

**2 მაისი**
როსკილდე
საქართველო – უნგრეთი
ნესტვედი
პოლონეთი – გერმანია

# საქართველოს ნაკრები ცხელ ხაზზე

**გუშინწინ** საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრები დანიას ესტუმრა და „გრანდ პარკ ოტელ კორსორში" დაბინავდა. ამავე სასტუმროში დაიდო ბინა ევროპის ჩემპიონატის D ჯგუფში ქართველთა სამივე მეტოქემ — გერმანიამ, პოლონეთმა და უნგრეთმა.

დანიაში ჩასულმა ქართველებმა მეტად უსიამოვნო ამბავიც შეიტყვეს — გუშინწინ ხომ თბილისი მიწისძვრამ შეაზანზარა. ამას გუნდში მცირე პანიკაც გამოუწვევია...

— ბიჭები ცოტა არ იყოს, შეშინდნენ. ეს ბუნებრივიცაა, ისინი ოჯახებზე ფიქრობდნენ და სასწრაფოდ თბილისში რეკავდნენ, თუმც ახლა გუნდში სიმშვიდეა და მოახლოებულ მატჩებზე ვფიქრობთ — გვითხრა გუშინ საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების თავკაცმა კობა ჟორჟიკაშვილმა.

დანიაში გვიან ღამით ჩასულმა ჩვენმა ნაკრებმა სასტუმროში ყველა ფორმალობა მოაგვარა, მოისვენა და გუშინ იქვე ახლოს მდებარე სპორტულ კომპლექსშიც საათნახევრიანი ივარჯიშა. ჟორჟიკაშვილს ფეხბურთელები დიდად არ დაუტვირთავს, მსუბუქად ავარჯიშა, სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზებიც გააცნო და მოგვიანებით გერმანელთა წვრთნასაც შეავლო თვალი. მოგეხსენებათ, ხვალ ქართველები ჩემპიონატის პირველ მატჩში სწორედ გერმანელებს ხვდებიან.

— ჩვენმა მეტოქემ დაახლოებით 45 წუთი დაჰყო მოედანზე. ჩვეულებრივად ივარჯიშეს. რაიმე განსაკუთრებული ვერაფერი შევამჩნიე, თუმც ვიცი, საკმაოდ ძლიერი გუნდია. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და მოსაგებად ვიბრძოლებთ. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება — ასეთია კობა ჟორჟიკაშვილის აზრი.

ქართველთა დამრიგებელი ნაკრების მომზადების დონით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია:

— რა საშუალებაც გვქონდა, მოვემზადეთ. ესპანურმა და გერმანულმა შეკრებებმა კი ძალიან ბევრი შეგვმატა. მშვენიერ პირობებში ვვარჯიშობდით. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ საქართველოში მინდვრის საფარიან მოედანზე ვარჯიშის საშუალება არ გვქონდა და ბიჭებს ამასთან შეგუება გაუჭირდათ. აქ ისეთ მოედნებზე ვემზადებოდით, რომ თვალებს არ ვუჯერებდით.

დღეს ევროპის ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნება. ქართველები ჩემპიონატში ხვალ ჩაერთვებიან, დღეს კი ქალაქ სლაგელსეს სტადიონზე უკანასკნელად ივარჯიშებენ გერმანელებთან მატჩამდე. ეს შეხვედრა სწორედ ამავე სარბიელზე ჩატარდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

## მეოთხედფინალი

| 4 მაისი | 5 მაისი |
| --- | --- |
| ჰვიდორი | სლაგელსე |
| 1. A1 – C2 | 3. B1 – D2 |
| ლიუნგბიუ | ნესტვედი |
| 2. C1 – A2 | 4. D1 – B2 |

## ნახევარფინალი

7 მაისი
ჰერფიოლგე: 1 — 3
ვალბიუ: 2 — 4

## მატჩი მესამე ადგილისთვის

10 მაისი, გლადსაქსი

## ფინალი

10 მაისი, ფარუმი

## ჰოლანდია
II დივიზიონი. XXXIII ტური
ვეენდამი 2:3 მაასტრიხტი
ოსი 2:3 ეინდჰოვენი
ემენი 0:3 ტელსტარი
დენ ჰააგი 1:1 ვოლენდამი
კამბური 2:1 იგლსი
ზვოლე 1:0 ექსელსიორი
ჰელმონდი 2:4 დორდრეხტი
როზენდალი 2:0 ჰერაკლესი
ჰაარლემი 0:0 ვენლო

## იტალია
სერია B. XXXIII ტური
ვიჩენცა 3:1 სალერნიტანა

## ჩეხეთი
XXVIII ტური
ტეპლიცე 2:0 ლიბერეცი

## პორტუგალია
I ლიგა. XXXIII ტური
ბელენენსეში 1:1 ბრაგა

## საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXVII ტური
აიაჩო 1:0 ბოვე
ამიენი 2:1 ნიმი
გრენობლი 1:2 კრეტეი
გენიონი 1:2 ნიორი
ლე ავრი 4:1 ლავალი
ლე მანი 1:2 კაენი
ნიცა 3:0 ისტრი
სენტ ეტიენი 1:0 შატორუ
მარტიგი 0:1 სტრასბური
ვალანსი 0:3 ნანსი

## გერმანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური
მაგდებურგი 0:0 ქემნიცი
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური
ელვერსბერგი 1:1 ბურგჰაუზენი
ტრირი 2:3 ერფურტი

# თბილისმა სამი ტრიო აირჩია

**სფფ-ის** ყრილობისთვის და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სამზადისი ერთ-ერთმა პირველმა თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო.

გუშინ რეგიონული ფედერაციის შტაბბინაში ფარული კენჭისყრა მოეწყო, რომლის მიზანიც იმ სამი დელეგატის გამოვლენა იყო, ყრილობაზე თბილისის ფეხბურთის ფედერაციის წარგზავნილები რომ იქნებიან. თბილისის საფეხბურთო სკოლების წარმომადგენელ 23 კაცს შვიდი კანდიდატურიდან მოუხდა სამის შერჩევა. ხმების უმრავლესობა ბუბა ტყავაძემ, რევაზ გაგუამ და გენადი ქიქავამ მიიღეს. შესაბამისად, სფფ-ის ყრილობაზე ეს სამეული მიიღებს მონაწილეობას. ამათთვის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. თბილისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საარჩევნო რეგლამენტის თანახმად, მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება აქვს და ეს პატივი რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტ ავთანდილ კოკაიას ერგო.

**პაატა ქვანტალიანი**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

გიო ახვლედიანის სვეტი

# მომავალი კლასიკო

დღეს საქმე ისეა, რომ სტადიონზე წასვლა აუცილებელიც კია.

დღეს „დინამო თბილისი" მარად მეტოქეს, ქუთაისის „ტორპედოს" მასპინძლობს. საქართველოს ორი ჩემპიონი ჰყავს და ორივე მოედანზე იქნება. ორივემ აშკარად უმატა ხარისხს. ერთი ზედიზედ მესამე ჩემპიონობისკენ მიიწევს, მეორე ხელის შეშლას ლამობს.

„დინამო" და „ტორპედო" ეზოშიც რომ თამაშობდნენ ოთხი-ოთხზე „ტუფლებით", მაინც ომი იქნება. ამას მაინც მიგვაჩვია ჩვენმა ჩემპიონატმა. თუნდაც, მეორე ეტაპის ქუთაისური მატჩი გავიხსენოთ, ქვის სროლა, ჩხუბი და ფრე. „დინამოს" შემკვრელი და მომამჯობინებელი ივო შუშაკი და „ტორპედოს" გამჩემპიონებელი რეზო ძოძუაშვილი ერთმანეთს კითხვებს დაუსვამენ. „ეროვნულის" მოფამფალებულ სტადიონზე ნამიწისძვრალს მიპატიჟება ცოტა ძნელი კია, მაგრამ ვიმედოვნებ, თამაში იქნება ისეთი, რომ მიწა ისედაც იძრება.

„დინამო" თვალშისაცემად გამოკეთდა და კონკურენციაც იშვა. „ტორპედომ" იცის, რომ „დინამო" ალმა მიუყვება და უპირატესობის დაკარგვა არ უნდა, რადგან თუ „დინამო" დაუსხლტა, ეს დიდი სამომავლო დასხლტომაა. „დინამოს" ახალი უფროსობა ხომ თავის გეგმებს არ მალავს.

ამიტომ დღეს თამაშია.

ცხადია, იმას, ვინც შუა კვირაში „ბარსელონა" — „რეალს" უყურა, იტყვის, ისეთი რა უნდა ვნახო, შაბათ საღამოს, იმავე საღამოს, ტელევიზიით გადმოცემულ ევროპულ თამაშებს რომ სჯობდესო.

უნდა ვუპასუხოთ, რომ „დინამო" — „ტორპედო" არის ჩანასახი ჩვენი „რეალ" — „ბარსელონასი" და ამ ჩანასახს ზრდა და მოვლა უნდა. მალე ამ ქვების სროლასაც გადავეჩვევით და ნამდვილი ფეხბურთიც გახურდება.

ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს „კლასიკო".

ეს წყვილი კი თავად ჩვენი ფეხბურთის ისტორიამ გააჩინა. თანამედროვე ისტორიაც ამას ამტკიცებს: ან „ტორპედო", ან „დინამო", ამერ-იმერი, კლასიკო და დაძაბულობა. აი, ეს გვინდა.

ამის გარეშე ფეხბურთი ფეხბურთი არ არის.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 5 ტური

თბილისი. ეროვნული. 27 აპრილი. 18.00 საათი

## დინამო VS ტორპედო

მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძარძაშაძე

# სამგზის ბაბუა მიწისძვრის შემდეგ აფეთქებას გვპირდება

## რა აკლია შუშაკს სრული ბედნიერებისთვის

თუ რამ საინტერესო და დამაინტრიგებელი აბადია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ბოლო წლებში, ეს თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დაპირისპირებაა.

უხერხულია, დღევანდელ მატჩს ტურის ცენტრალური შეხვედრა ან რაიმე ამის მაგვარი დაარქვა, რადგან „დინამო“ — „ტორპედო“ თუ „ტორპედო“ — „დინამო“ გაცილებით უფრო ღრმა ფილოსოფია გახდა ამ ბოლო დროს, ვიდრე ტურის ცენტრალური თამაში ან თუ გნებავთ თავისებური ქართული დერბი.

ქვების სროლა, გინება, ხელკეტის ქნევა, დინამოელი ფანების სტადიონიდან გაძევება და მერე შერიგება — ეს ამ დაპირისპირების უახლესი ამბავია, მაგრამ დღეს წესით ახალი ფურცელი უნდა გადაიშალოს, იმედია, გაცილებით სუფთა, მაგრამ...

თავისი ანგარიში ყველას აქვს. დღეს ივო შუშაკს, როგორც მწვრთნელს, ალბათ, რევაზ ძოძუაშვილზე უფრო მნიშვნელოვანი მატჩი ელის — ხორვატი, ასე ვთქვათ, თვითდამკვიდრების სტადიაშია „დინამოში“ და საერთოდ, საქართველოში.

გუშინ შუშაკი სამგზის ბაბუა გახდა, ვაჟისგან პირველი შვილიშვილი, გოგონა შეეძინა.





ივო შუშაკი და რევაზ ძოძუაშვილი ერთმანეთს მეორედ შეხვდებიან

„დინამომ“ კი დილით ივარჯიშა და საღამოს შუშაკი ყოყმანობდა, კიდევ ერთხელ გაეყვანა თუ არა გუნდი სავარჯიშოდ, მაგრამ ამასობაში ქუთაისის „ტორპედო“ მოადგა დიღმის ბაზას და მეორე, სათადარიგო მინდორზე მოიდინა ოფლი.

ხორვატმაც ამის მერე იხმო ბიჭები და ზედ ვარჯიშის წინ საგანგებოდ გაკრეჭილ მინდორზე შეუშვა. საღამოს ვარჯიში უფრო მატონიზირებელი გახლდათ, მწვრთნელმა დიდად არ დატვირთა ფეხბურთელები და ვარჯიშმა დაახლოებით ერთ საათს თუ გასტანა.

ერთი ნიუანსიც — შუშაკმა თავაზიანად ითხოვა, ფოტორეპორტიორები ვარჯიშს ნუ დაესწრებიან, კამერების ჩხაკუნი არასასურველიაო.

ნავარჯიშებს პირველად **ალეკო გოგობერიშვილს** გავესაუბრეთ, რომელსაც მენისკის ოპერაციის გამო ჯერ მხოლოდ ორი თამაში აქვს ჩატარებული შუშაკის „დინამოში“.

— ძალიან მძიმე თამაში იქნება. „ტორპედო“ კარგი გუნდია, თუმცა ჩვენ მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე. შანსები თანაბარია, მაგრამ მეტოქეს არაფერს, ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ — ამის გარანტიას ვიძლევი.

**— ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია „დინამოსთვის“ ამ სეზონში? მიუხედავად იმისა, ჩემპიონები გახდებით თუ არა, „ტორპედოს“ დამარცხება, თქვენთვის ალბათ, უბრალო ამბავი არაა...**

— რა თქმა უნდა და ეს ფსიქოლოგიურადაც იქნება ჩვენთვის მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, საჩემპიონო შანსები ჯერ არ დაგვიკარგავს, მინიმალური შანსიც კი უნდა გამოვიყენოთ.

**— ტრავმის გამო საშუასეზონო შეკრება, ფაქტობრივად, ვერ გაიარე. თავს როგორ აჭყობ, როგორ ფორმაში ხარ?**

— მაქსიმალურად კარგ კონდიციებს ჯერ ვერ მივაღწიე, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ფორმაში არ ვარ. ფიზიკურად თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

*ლადო ბურდული*

— თასზე „ლოკომოტივთან“ წაგებამ, შეიძლება ითქვას, გამოგვაფხიზლა — მოგებათა სერიის შემდეგ ეს დაღებითად წაგვადგება. ახლა ვატყობ, სულ სხვა განწყობით ვვარჯიშობთ.

**— ქუთაისელებთან მატჩზე რას იტყვი?**

— „ტორპედოსთან“ ძალიან დაძაბული თამაში იქნება. ჩვენ აუცილებლად გამარჯვება გვჭირდება თუ რამეზე ვფიქრობთ. ჩემი აზრით, „დინამოს“ დღეს შეუძლია „ტორპედოს“ თბილისშიც და ქუთაისშიც დამარცხება.

**— „ლოკომოტივთან“ რომ თამაში არ წაგივიდა, რას დააბრალებ?**

— წინა დღეს მოვიწამლე, მოთენთილი გახლდით და ჩემი საუკეთესო თამაში ნამდვილად ვერ ვაჩვენე.

*გიორგი შაშიაშვილი*

**— მცველი ხარ და „ტორპედოს“ წინა ხაზს როგორ დაახასიათებდი?**

— კარგად ვიცნობ „ტორპედოს“ ყველა ფეხბურთელს. ამ გუნდს კარგი შემტევი ხაზი ჰყავს. რაც შეეხება ანდრეი პოროშინს, ის კარგად გვყავს შესწავლილი. მან რამდენჯერმე გაგვიტანა გოლი, ვეცდებით, მის მიმართ დიდი ყურადღებით ვიყოთ, უკრაინელი თავითაც კარგად თამაშობს.

**— თქვენი და „ტორპედოს“ ბოლო მატჩს ქუთაისში ექსცესები მოჰყვა. როგორც გუნდის კაპიტანი, რას იტყოდი, „დინამო“ ბოლო წუთამდე შეინარჩუნებს ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს, არ დაკარგავს წონასწორობას?**

— არავითარი პრობლემა არ იქნება, ჩვენ ფეხბურთს ვითამაშებთ. შეიძლება, ემოციები იყოს, მაგრამ როგორც ყველა მატჩში, თამაშის შემდეგ მეტოქე ფეხბურთელებთან მივდივართ და ხელს ვართმევთ.

**— გულშემატკივრის ფაქტორიც რომ არის...**

— ჩვენი ფანები არაფერს ისეთს არ გააკეთებენ, უბრალოდ, მხარს დაგვიჭერენ.

*გია ისიანი, „დინამოს“ უსაფრთხოების ოფიცერი.*

— არ ვიცით ჩამოვლენ თუ არა „ტორპედოს“ ფანები თამაშზე, მაგრამ ჩვენ თადარიგი დავიჭირეთ — თუ ისინი გვესტუმრნენ, საგურამოს ქუჩიდან შევიყვანთ სტადიონზე და სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე, მოქმედ ტაბლოსთან მივუჩენთ ადგილს. უსაფრთხოების მიზნით პოლიცია საქმის კურსში ჩავაყენოთ.

გასამებული ბაბუა, **ივო შუშაკი** საინტერვიუდ, ცხადია, ბოლოსთვის მოვიტოვეთ.

**— „ტორპედოსთან“ მატჩისთვის განსაკუთრებულად მოემზადეთ?**

— როცა „დინამოში“ მოვედი, მყისვე განვაცხადე, რომ ამ სეზონში დიდ გეგმებს არ ვისახავთ. ჩვენთვის ეს მატჩი რიგითი თამაშია, რომელშიც სამი ქულის მოპოვება გვსურს, მაგრამ ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ ლიდერს ვეთამაშებით და ეს მართლაც სპეციფიური მატჩია. „ტორპედო“ სამჯერ ვნახე საქმეში და დავრწმუნდი, რომ ეს გუნდი შემთხვევით არ ლიდერობს ჩემპიონატს. ეს „ტორპედო“ 2-3 წლის წინ შეიქმნა და საკმაოდ კარგადაა დაბალანსირებული.

ჩვენ კი მოგებათა სერიის შემდეგ „ლოკომოტივთან“ წავაგეთ, რამაც გამოგვაფხიზლა. ახლა იმის მოლოდინში ვარ, რომ ჩემი გუნდი „ტორპედოსთან“ აფეთქდება. ფეხბურთელების განწყობა მაღალია, ბოლო წუთამდე მოგებაზე ვითამაშებთ.

**— თქვენი გუნდის ემოციური მუხტი რა იქნება?**

— „დინამო“ რომ „დინამოს“ სტადიონზე გავა, ჩემი ფეხბურთელების მოტივაციაც ეგ არის, პლუს ჩვენი გულშემატკივრები. მატჩის მნიშვნელობა კი ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურად არ უნდა დააწვეს.

**— მიხეილ ბობოხიძე „ლოკომოტივთან“ კარგად შემოვიდა შეცვლაზე. ხომ არ აპირებთ, რომ ის გიორგი მიქაძეს შეუწყვილოთ თავდასხმაში?**

— გუნდის ან ფეხბურთელის ერთი ცუდი თამაში იმის მიზეზი ვერ იქნება, რომ შემადგენლობა შევცვალო. ცხადია, ბობოხიძის კარგი თამაში „ლოკომოტივთან“ შეუმჩნეველი არ დამრჩენია და ეს საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, ვათამაშო თუ არა ის ძირითადში.

**— თუ სტადიონზე ბევრი ხალხი მოვა, ეს თქვენს გუნდს თამაშს გაუადვილებს?**

— ჩვენ ველით გულშემატკივართა მხარდაჭერას და ბედნიერები ვიქნებით, თუ უფრო მეტი ქომაგი გვეყოლება, ვიდრე მანამდე. ბედნიერი ვიქნები იმითაც, თუ დავინახავ, რომ ხალხს „დინამოსი“ სჯერა.

**დავით თავართქილაძე**

## I-VI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 4 | 0 | 0 | 7:3 | 38 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 5:0 | 31 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 31 |
| ბათუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 22 |
| კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 21 |
| მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 17 |

## VII-XII ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 24 |
| სიონი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 22 |
| მეტალურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 16 |
| გორდა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 14 |
| სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | 13 |
| გურია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 8 |

## რევაზ ძოძუაშვილი მატჩის წინ

— ძალიან პრინციპული, შეიძლება ითქვას, საჩემპიონო მატჩი გველის და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად ვემზადებით. თბილისში ამ დილით ჩამოვედით და შუა დღით „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე საათნახევარი ვივარჯიშეთ — გვითხრა „ტორპედოს“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა — ვნახოთ, მგონი, კარგი თამაში უნდა გამოვიდეს.

**— უძლიერესი შემადგენლობით ემზადებით?**

— არა, „დინამოსთან“, სამწუხაროდ, ფეხის ტკივილის გამო მეკარე ნიკა ტოგონიძე და ზურაბ იონანიძე ვერ ითამაშებენ. მათ წინა ტურის მატჩიც გამოტოვეს და ვერც ხვალ დაგვეხმარებიან. დიდი ძალა დაგვაკლდა.

**— მათ ვინ შეცვლის, მოიფიქრეთ?**

— ვინც „ბათუმთან“ შეცვალა.

**— ესე იგი, „დინამოსთან“ მატჩისთვის „ტორპედოს“ შემადგენლობა არ შეიცვლება?**

— შესაძლოა ერთ ნახევარმცველს მეორე, უფრო ჩამშლელი ვამჯობინოთ. აქცენტს დაცვაზე გავაკეთებთ. მთავარი კი მაინც მსაჯობაა. მათ თამაში არ უნდა გააფუჭონ.

**— ეჭვობთ, რომ კარგი, ობიექტური მსაჯობა არ იქნება?**

— არ ვეჭვობ და წესიერების დიდი იმედიც მაქვს. ბოლო ხანს ლიდერთა მატჩები „დინამო“ — „ლოკომოტივი“, „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ ნორმალურად განსაჯეს და ვისურვებდი, რომ ასევე გაგრძელდეს. ერთხელაც ვამბობ, ხვალ „დინამოსთან“ საჩემპიონო მატჩია და მსაჯობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

**— განსაკუთრებით ვემზადებითო, თქვით. თბილისში მოპოვებული ქულისთვის ან მოგებისთვის „ტორპედო“ განსაკუთრებულ პრემიას მიიღებს?**

— არა, პრემია ჩვეულებრივი იქნება. დღესდღეობით „ტორპედოს“ ისეთი სპონსორი არ ჰყავს, გუნდი სამმაგად წაახალისოს.

**— გავიგეთ, „ტორპედო“ აპირებს, დანიურ „კოპენჰაგენში“ გაყიდული მიხეილ აშვეთია ჩემპიონატის დასრულებამდე ინათხოვროსო, მართალია?**

— ეს რეალური არ არის, თუმცა „ტორპედო“ აშვეთიას სიამოვნებით დაიმატებდა. მენეჯერები უკეთ გეტყვიან, სად გააგრძელებს იგი თამაშს.

**კობა ინასარიძე**

ბათუმი. დინამო. 27 აპრილი. 16.00 საათი

## ბათუმი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი
დისკვალიფიცირებული: პ. მაჭუტაძე (ბათუმი)

*ასლან ბალაძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი:*

— „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით. ტრავმა არავის აწუხებს, ძალიან რთული მატჩი გველის, მით უმეტეს, ბოლო ხანს რკინიგზელებთან უარყოფითი ბალანსი გვაქვს და ვეცდებით, ნავსი გავტეხოთ. ევროტურნირებზე გასვლის შანსი კიდევ გვაქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ. დასათმობი არაფერი გვაქვს. თანაც ბოლო ტურებში შედარებით ცუდად ვითამაშეთ, ამიტომ ჩვენი ქომაგების გულის მოგებაც გვსურს. სამწუხაროა, რომ დისკვალიფიკაციის გამო ამ მატჩში პაატა მაჭუტაძე ვერ დაგვეხმარება.

*გია ჯიშკარიანი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:*

— ძალიან ძნელი მატჩი გველის. დავით სირაძე და ზაზა ჯანაშია ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მეტოქეც საკმაოდ სერიოზული გვყავს, მაგრამ ვეცდებით, მოვიგოთ. უკან დასახევი გზა არ გვაქვს. აუცილებლად სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ.

ფოთი. ფაზისი. 27 აპრილი. 16.00 საათი

## კოლხეთი — მერანი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

*სოსო ფილია, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ბიჭები მზად არიან. ყველა ჯანმრთელადაა და სათამაშოდ ემზადებიან. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ინტერტოტოს საგზურისთვის ჩვენ და „ბათუმი“ ვიბრძვით, ამიტომ შეცდომის უფლება არ გვაქვს და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. გავიგე, რომ „მერანს“ გარკვეული პრობლემები აქვს, თუმც ეს ბევრს არ ნიშნავს. მაინც დიდი ბრძოლა მოგვიწევს. ყველაფერს გავაკეთებთ სამი ქულის მოსაპოვებლად. გამარჯვების გარდა არაფერი დამაკმაყოფილებს.

*ოთარ გაბელია, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:*

— ძალიან რთულ მდგომარეობაში ვართ. ბოლოხანს ფინანსური ვითარება შედარებით გამოსწორდა, თუმც ახლა კვლავ გასაჭირი დაგვიდგა. კლუბის პრეზიდენტმა ფული ისესხა და ასე მივემგზავრებით ფოთში. ამას რომ თავი დავანებოთ, ოთხი ფეხბურთელი ტრავმირებულია. ბიძინა ივეჩიანი, გიორგი გაბიდაური, სოსო დევიძე და ლაშა ჩხაიძე, ალბათ, ვერ დაგვეხმარებიან. ასეთ სიტუაციაში რა უნდა ვქნა? გავიყვან ბიჭებს ჩვეულებრივად მინდორზე და ვითამაშებთ. სხვა რაღა დაგვრჩენია?..

წყალტუბო. 26 მაისი. 27 აპრილი. 16.00 საათი

## სამგურალი — მეტალურგი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

მცხეთა. არმაზი. 27 აპრილი. 15.30 საათი

## ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. თბილელი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 27 აპრილი. 16.00 საათი

## გურია — გორდა

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კაკაჩიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებული: ზ. ლაბაძე (გორდა)

დიდი შანსია, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და გერმანული „ფრაიბურგის“ მცველ-ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი მომავალ სეზონს ბუნდესლიგის მოსალოდნელ ჩემპიონ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტ, ბოლო დროს ძალიან მოძლიერებულ ლევერკუზენის „ბაიერში“ შეხვდეს. კობიაშვილით ბუნდესლიგის ლიდერის დაინტერესება ამ დღეებში თვით „ლევერკუზენის“ 2XL ზომის მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა დაადასტურა. „კობიაშვილი საინტერესო ფეხბურთელია“ – განუცხადა „კიკერს“ კალმუნდმა, ხოლო რას ნიშნავს ამ კაცის რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესება, გერმანელ ჟურნალისტებს კარგად მოეხსენებათ, ამიტომაც ლევანის ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში შესაძლო გადასვლის თაობაზე თითქმის ყველა გერმანულმა გაზეთმა დაწერა.

# კობიაშვილი საინტერესო კაცია

## ლევერკუზენი ლევანს მუშტრის თვალით უყურებს



**ყველაფერი** კი ბოლო დროს აგორებულ ხმებს მოჰყვა, ლევერკუზენელთა ბრაზილიელი ლუსიო მადრიდის „რეალში“ გადადისო (მეორე ბრაზილიელის ზე რობერტოს „ბაიერნში“ გადასვლა კი თითქმის გადაწყვეტილი საქმეა), ეს ამბავი წინა კვირის „სარბიელიდანაც“ გეცოდინებათ. ლუსიოთი მადრიდელთა გარდა სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი და არაა გამორიცხული, ეს ფეხბურთელი მომავალი სეზონიდან „ბაიერში“ ვეღარც ვიხილოთ, ამ შემთხვევაში კი ტოპმიოლერ-კალმუნდის დუეტს მის შემცვლელად სწორედ ჩვენებური ესახება. თუმცა ლევერკუზენელებს ახლა სატრანსფერო ამბებისთვის სულაც არ სცხელათ, გუნდი ბუნდესლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პირველ ადგილზეა და ჩემპიონობისთვის იბრძვის, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველ მატჩშიც, ოთხშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სტუმრად 2:2 ითამაშა და ფინალისთვის ემზადება. ასეთ სიტუაციაში კი გუნდში არეულობის შეტანა არავის სურს, ამიტომაც:

„ლუსიოს თემა ამოწურულია, იგი მომავალ სეზონშიც ჩვენთან რჩება, მე მას ველაპარაკე და შევთანხმდით კიდეც“ — ამბობს კალმუნდი.

„ყველაფერი მოგვარებულია, მომავალ სეზონშიც აქ ვითამაშებ“ — განაცხადა თავად ფეხბურთელმა.

„თუ კი ვინმეს მისი გადაბირება უნდა, პირველ რიგში მე უნდა დამელაპარაკოს. ბოლო ხანს ასეთი არაფერი მომხდარა, ესე იგი, გადასვლა გამორიცხულია“ — გააცნობიერა საზოგადოება კონტრაქტის დეტალებში სანდრო ბეკერმა, ლუსიოს აგენტმა.

თუმცა როგორც „ბილდი“ აღნიშნავს, ლუსიოს დარჩენა კობიაშვილზე უარის თქმას სულაც არ ნიშნავს. თანაც ყველამ იცის, რომ შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში ეს გამონათქვამები ძალას დაკარგავენ. „ბილდმავე“ მოგვიანებით კალმუნდს ეს წამოაცდენინა: „წინ ძნელი შეხვედრები გველის, სრული კონცენტრაცია გვმართებს, თორემ ჩემპიონობის ამ შანსსაც დავკარგავთ, კობიაშვილსაც მობილიზება სჭირდება, „ფრაიბურგი“ ხომ გავარდნის პირასაა. ამ საქმეებს რომ მოვაგვარებთ, აი, მერე შეიძლება დავილაპარაკოთ კიდეც, მისით დაინტერესებულნი ნამდვილად ვართ“.

წინა შაბათს „კაიზერსლაუტერნთან“ ჩინებული თამაშის მერე („კიკერმა“ სულაც თამაშის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა) გერმანელი ჟურნალისტები ამ ამბავს უფრო ჩაუღრმავდნენ და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად კობიაშვილს და მის კლუბს მიადგნენ, თუმცა ბევრი ვერაფერი გაარკვიეს.

„კობიაშვილი გუნდისთვის ძალიან საჭიროა“ — განუცხადა „კიკერს“ ფრაიბურგელთა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ. მერე კი გაზეთი აგრძელებს, უკრაინელებთან 17 აპრილის მატჩის წინ ფინკე საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძეს შეთანხმებია, რომ კობიაშვილი და ცქიტიშვილი მხოლოდ თითო ტაიმს ითამაშებდნენ, ტრავმის გამო ცქიტიშვილი უკრაინაში აღარ წასულა, კობისაც მის მაგივრად მოუწია თამაშმა. „ჩივაძეს სხვა ალტერნატივა არ ჰქონდა“ — ასე ახსნა მწვრთნელის გადაწყვეტილება უკან დაბრუნებულმა კობიაშვილმა, რაც შეეხება „ლევერკუზენს“...

„ეს საკითხი ახლა არ მაინტერესებს, ჩემი მთავარი საზრუნავი „ფრაიბურგთან“ ერთად პირველ ბუნდესლიგაში დარჩენაა“ — ამბობს კობი. ფინკემ კი ეს თქვა: „ლევანი უწესიერესი ბიჭია, ჩვენ თუ მას კონტრაქტის ბოლომდე დარჩენას ვთხოვთ, დარწმუნებული ვარ, ამას ალალად გააკეთებს“.

და მაინც. სად შეხვდება მომავალ სეზონს ლევან კობიაშვილი? ამ კითხვაზე პასუხს მიმდინარე სეზონის გიჟური ფინალის შემდეგ გავიგებთ. მე კი შეგახსენებთ, რომ მისით „ლევერკუზენის“ დაინტერესებაზე თითქმის მეორე წელია ლაპარაკობენ, თუმც ახლა საქმე უფრო სერიოზულად უნდა იყოს.

**ვანო ოქრობირიძე ბერლინიდან**

# გიგიაძე ვარსკვლავებს შეეთამაშა

## უკრაინაში დემეტრაძის სამგოლიანი დაჯაბნეს



ვასილ გიგიაძე

**უკრაინელ** გულშემატკივრებში ერთობ დიდი ინტერესი გამოიწვია ეროვნული ჩემპიონატის ბოლოს „ვარსკვლავთა მატჩის“ გამართვის იდეამ. ამ ჩანაფიქრს თავიდან ბევრი კრიტიკულად აფასებდა, თუმც ფაქტები სულ საპირისპიროზე მეტყველებს.

ვითარებაში გასარკვევად გეტყვით, რომ უკრაინის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ჩატარდება მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ლეგიონერებისა და ადგილობრივი ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდები შეხვდებიან. მათი შერჩევა კი გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად მოხდა. ალბათ, გაინტერესებთ, როგორი პოპულარობით სარგებლობენ უკრაინაში ქართველი ფეხბურთელები.

„ვარსკვლავთა“ შორის მოხვედრის ყველაზე რეალური შანსი სიმფეროპოლის „ტავრიას“ ლიდერ ვასილ გიგიაძეს ჰქონდა. გამოკითხვის შედეგად უკრაინელებმა ჩვენებური თავდამსხმელთა შორის მეოთხე ადგილზე დაასახელეს. ქართველ ფორვარდს მხოლოდ ორმა ნიგერიელმა — დინამოელმა ლაკი იდაჰორმა, შახტარელმა ჯულიუს აგაოვამ და „დინამოს“ უზბეკმა მეგოლემ მაქსიმ შაცკიხმა აჯობეს. შედარებით მცირე შანსი ჰქონდათ „არსენალის“ მცველ ლევან მიქაძეს და „ტავრიას“ ნახევარმცველ გოჩა ტრაპაიძეს. გამოკითხვის შედეგად ისინი „ვარსკვალავებს“ ვერ შეწვდნენ.

ამრიგად ქართველთაგან უკრაინული საზომით დიდი პატივი, მხოლოდ ვასილ გიგიაძეს ერგო. მას თვით ნევიო სკალას მითითებების მოსმენა მოუწევს — სწორედ ეს იტალიელი გაწვრთნის ლეგიონერებს. ადგილობრივებს კი ლეონიდ ბურიაკი უთავკაცებს. მატჩი 14 ივნისს გაიმართება.

აქვე ერთ საინტერესო ფაქტზეც ვთქვათ. 2000 წლის 27 აგვისტოს კიევის „დინამოში“ მოთამაშე გიორგი დემეტრაძემ ტერნოპოლის „ნივასთან“ მატჩის 65-ე წუთზე გოლი გაიტანა, რასაც 74-ე და 79-ე წუთებზე კიდევ ორი დაუმატა და უკრაინის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე გვიანი ჰეთ თრიქის ავტორი შეიქნა. თუმც ეს პატივი ქართველ თავდასხმელს კრივბასელმა ვლადიმირ მუსოლიტინმა ჩამოართვა. მან უკრაინის ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურში, „პოლიგრაფტექნიკასთან“ მატჩში 66-ე, 78-ე და 85-ე წუთებზე გამოიჩინა თავი და ერთი წუთით „გააუმჯობესა“ დემეტრაძის რეკორდი.

**კახა შალამბერიძე**



სად გააგორებს ბურთს გიორგი ქინქლაძე, ჯერ არ გადაუწყვეტია

*ორი სეზონი იცოდვილა ინგლისურმა „დერბიმ“ და წლეულს მაინც დაქვეითდა პირველ დივიზიონში. ყოფილი მწვრთნელის, კოლინ ტოდის არეულ-დარეული, გამოცდილმა, სახელიანმა ჯონ გრეგორიმ ვერაფრით დაალაგა და პრემიერლიგის დამთავრებამდე რამდეიმე ტურით ადრე „დერბი“ მეორე აუტსაიდერ „ლესტერს“ შეუამხანაგდა.*

*გავარდა „დერბი“ და ისევ ძველი კითხვა გაჩნდა. დარჩება თუ არა ქართველი გიორგი ქინქლაძე ამ კლუბში? მიუხედავად იმისა, რომ გრეგორიმ „დერბის“ მწვრთნელად დანიშვნისთანავე ქინქლაძე ძირითად შემდგენლობას დაუბრუნა, ჩვენებური დარწმუნებით ვერ ამბობდა, მომავალ სეზონსაც „დერბიში“ თუ გაატარებდა, მით უმეტეს, ვერ ამბობს ახლა, როცა გუნდი პრემიერლიგიდან გავარდა*

# დერბიმ დრო და პრემიერლიგა გაფლანგა

## გრეგორი ორშაბათს სიას ამოიკითხავს

— ჯონ გრეგორი რომ ცოტა ადრე დაენიშნათ მწვრთნელად, პრემიერლიგაში ადგილს ნაღდად შევინარჩუნებდით. გრეგორის მოსვლისთანავე უკეთ ავთამაშდით, რამაც ფეხბურთელებს მეტი სტიმული მოგვცა. სამწუხაროდ, ახალი მწვრთნელის დანიშვნა და ჩვენი მონდომება დაგვიანებული აღმოჩნდა. ტოდის დაშლილი გუნდის აღდგენა გრეგორიმ ერთ-ორ დღეში ვერ შეძლო.

**— გამოდის, „დერბი“ ტოდიმ გააგდო.**

— დიახ, ყოფილმა მწვრთნელმა. თავისებური ხასიათის კაცია, გუნდის თითქმის ყველა წევრთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა. ამოიჩემებდა ვინმეს ან რამეს და კაცი ვერ გადაათქმევინებდა, არადა, ყველა ფიქრობდა, რომ მისი ნაბიჯი არასწორი იყო.

**— გაღიზიანებული ხარ?**

— არა, უბრალოდ, საწყენია, რომ ტოდმა „დერბი“ ასეთ დღეში ჩააგდო. ამ გუნდს ნაღდად აქვს პრემიერლიგაში თამაშის პოტენცია.

**— გადაჰყვები გუნდს პირველ დივიზიონში?**

— ახლა ვერაფერს გეტყვით. არ მაქვს გადაწყვეტილი „დერბიში“ დავრჩები თუ არა.

**— წასვლას ხომ აპირებდი?**

— ვაპირებდი, მაგრამ... ორშაბათს გაირკვევა, მომავალ სეზონში სად ვითამაშებ. გრეგორიმ გუნდის კრება დანიშნა, ყველა ფეხბურთელთან ცალ-ცალკე შეხვედრა და დალაპარაკება სურს. ვნახოთ, რას მეტყვის მწვრთნელი. ისე კი „დერბისთან“ კონტრაქტი გაისად მიმთავრდება.

**— შენით ჯერ არავინ დაინტერესებულა?**

— არა, არავინ, მაგრამ ვიცი, რომ ერთი-ორი გუნდი მაკვირდებოდა.

**ქობა ინასარიძე**

# გუტმანს ახსოვს: ყიფიანი და საქართველო

**„ვიტ ჯორჯიას“** ყოფილი კაპიტანი და ეროვნული ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი გიორგი ყიფიანი ორიოდ დღეა, თბილისში დაბრუნდა. საზრიანი და ემოციური ნახევარმცველი კონტრაქტით ჯერაც ვეტერინარია, თუმც წელიწადი იქნება, რაც კლუბმა იჯარის წესით ისრაელში გაანათხოვრა.

ყიფიანი იქაური უმაღლესი ლიგის კირიათ გატის „მაკაბის“ შეტევებს უძღვებოდა. თითქმის მთელი სეზონი ითამაშა, თუმც ტრავმის გამო ჩემპიონატი ბოლომდე ვერ ჩაამთავრა.



გიორგი ყიფიანი

იჯარის ვადა ამოიწურა, ყიფიანი და „მაკაბი“ ერთმანეთს კეთილი სურვილებით დაშორდნენ. გიორგიმაც საქართველოსკენ გამოსწია და თავისი სამომავლო კარიერის ამბავი პოლონელ აგენტს, ლეშეკ ნოვაკოვსკის გადააბარა.

ნოვაკოვსკი ევროპულ კლუბებზეა დაგეშილი, ყიფიანს მეორე ბუნდესლიგის და შვეიცარიულ გუნდებს ჰპირდება, თუმც ერთი ებრაული ვარიანტიც გაიჩარხა.

— ვეტერინართა თბილისში წამქცევი „ბეითარი“ ხომ გახსოვთ. ჰოდა, მისი თავკაცი ელი გუტმანი დღეს ფეთახ თიკვას „ჰაპოელის“ მთავარი მწვრთნელია. გუტმანს ჯერ კიდევ მაშინ სურდა ჩემი გადაბირება, მაგრამ რატომღაც არ გამოვიდა ეს საქმე.

„მაკაბიში“ თამაშისას გუტმანი რამდენჯერმე დამიკავშირდა, ორჯერ შევხვდი და პირობებზეც თითქმის შევთანხმდით. მიუღებელი მწვრთნელს არაფერი შემოუთავაზებია, თუმც საბოლოო დასტურიც არ მიმიცია. ჩემი აგენტი ნოვაკოვსკი ხომ სხვა ვარიანტებზეც მუშაობს — გვითხრა გუშინ გიორგიმ სატელეფონო საუბარში.

ყიფიანს დრო მაისის ბოლომდე აქვს. ამ ხნის მანძილზე თუ ნოვაკოვსკიმ დასავლეთ ევროპაში ივაჟკაცა, ხომ კარგი, არადა, გიორგი ძველ ნაცნობს, გუტმანს მიაკითხავს.

**ზამუკა ძვანტალიანი**

იყიდება
გაზ-2107 თეთრი ფერის,
1990 წელს გამოშვებული,
კარგ მდგომარეობაში.
ტელ: 39-48-29 (11.00 19.00);
69-89-56 (საღამოს)
კახა



# აქედან ურუგვაელი, იქიდან იაპონელი




REUTERS

სანამ სტუმრები სალამს ეტყოდნენ, ნიკოლა ამორუზომ პენალტი გაიტანა

## იტალია

### თასის ფინალი. I მატჩი

**იუვენტუსი 2:1 პარმა**

1:0 ამორუზო (53), 2:0 ზალაიეტა (67), 2:1 ნაკატა (90)
იუვენტუსი: კარინი, ბირინდელი, ტურამი, ტუდორი (მონტერო 46), პარამატი, კ. ძენონი, კონტე, დავიდსი (ტაკინარდი 58), ნედვედი (ძამბროტა 46), ნ. ამორუზო, ზალაიეტა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
პარმა: ტაფარელი, ჯუნტი (გურენკო 46), ბოგოსიანი, ბენარივო, სარტორი, აპია (ნაკატა 74), ლამუში, დიანა, მიკუ, შუქური (ბონაცოლი 58), მარკიონი
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: სარტორი, ტაკინარდი, ბოგოსიანი, ბენარივო
მსაჯი: კოლინა
35 874 მაყურებელი

„დელე ალპიზე" იტალიის თასის ფინალის პირველი შეხვედრა გაიმართა, სადაც მთავარი მოქმედი პირი ურუგვაელი ფორვარდი მარსელო ზალაიეტა იყო — თავიდან მან „იუვენტუსისთვის" პენალტი მოინადირა — გოლი ნიკოლა ამორუზომ გაიტანა — შემდეგ კი თავურით მეორე გოლი შეაგდო.

მაგრამ „პარმა" არ გატყდა და მსაჯის წამატებულ წუთებში ერთის შეგდება მაინც მოახერხა. ეს შეცვლაზე შესულმა იაპონელმა პიდეტოში ნაკატამ შეძლო.

მატჩის შემდეგ „იუვენტუსის" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ აღნიშნა: „ნაკატამ მცირე შოკში კი ჩაგვაგდო, მაგრამ ჯამში, ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ".

ახლა, ცოტა დაწვრილებით: ზალაიეტამ თამაშის მეთხე წუთზე მოწინაალმდეგის საჯარიმოში რაღაც იჯაჯგურა, ალან ბოგოსიანმაც წინააღმდეგობა გაუწია და პიერლუიჯი კოლინამ პენალტი დანიშნა. ამორუზომ, როგორც მოგახსენეთ, თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან აჯობა მეტოქის მეკარე კლაუდიო ტაფარელის და ანგარიში გახსნა.

იქვე მასპინძლებმა ლამის გააორმაგეს ანგარიში: მიქელე პარამატის თავური ტაფარელიმ მოიგერია. მაგრამ 12 წუთის შემდეგ უკვე „პარმამ" დააფრთხო „ბებერი ქალბატონი" — გარემარბმა მარკო მარკიონიმ ბოგოსიანს გადასცა ბურთი, მისი დარტყმული კი ურუგვაელმა მეკარემ ფაბიან კარინიმ საკუთარ ხარიხას მიაზღერთა.

შესვენების შემდეგ „პარმას" ნახევარმცველმა საბრი ლამუშიმ ოდნავ ააცლა მიზანს, ხოლო საპირისპირო კართან პარამატის ჩაწოდებული ზალაიეტამ კარში თავურით შეაგდო.

ამას პარმელთა საუკეთესო მომენტი მოჰყვა — ლამუშიმ ორი მეტოქე ჩამოიშორა, თითქმის ნახევარი მოედანი გადაირბინა და მარკიონის მისცა პასი, რომელმაც ბურთი ძელს გაარტყა.

ამასობაში „იუვენტუსს" ანტონიო კონტე დაუშავდა — ლამუშის შეეჯახა და რადგანაც სამივე ცვლილება უკვე გამოყენებული ჰქონდა, მოედანზე კაცნაკლული დარჩა. ამ უპირატესობით „პარმამ" ხელად ისარგებლა: ემილიანო ბონაცოლის ერთი დარტყმული კარინიმ მოიგერია, მეორე კი ბირინდელიმ კარის ხაზიდან გამოიტანა.

ამის მერე „პარმას", კერძოდ კი ზემოხსენებულ ნაკატას კიდევ ჰქონდა ორი უშედეგო მომენტი, მესამე კი „სამართალი" გამოდგა — იაპონელის ჩინებულმა დარტყმულმა გოლი მოიტანა.

საპასუხო შეხვედრა 11 მაისს პარმაშია.

**ბაბუნა ძიძია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბელგიის** ნაკრებში დიდი დანაკლისია. იოს ვალგაერენი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. „სელტიკის" 26 წლის მცველს საზარდული აწუხებდა, მარტში ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ ფეხბურთელი ამჯერად თიაქარმა შეაწუხა და დღე-დღეზე კვლავ საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდება.

**გერმანული** „ვერდერის" სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი და „დორტმუნდის" პრეზიდენტი გერდ ნიბაუმი ერთმანეთს შეხვდნენ, რისი მიზეზი ჯერაც ბრემენულ კლუბში მოთამაშე ნახევარმცველი ტორსტენ ფრინგსი იყო. „დორტმუნდს" ამ ფეხბურთელის გადაბირება სურს და სავარაუდოდ აისრულებს კიდეც საწადელს. ფრინგსის კონტრაქტი „ვერდერთან" 2003 წლის ივნისში იწურება, მაგრამ ფეხბურთელს კლუბის დატოვების დიდი სურვილი აქვს.

**პოლონეთის** ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდის თითოეულ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში 150 ათას დოლარს დაპირდა. ფედერაციის გადაწყვეტილებით, ჯგუფიდან გასვლისთვის პოლონელები 25-25 ათას დოლარს მიიღებენ, ნახევარფინალში და ფინალში გასვლისთვის თითოეული ფეხბურთელის პრემია, შესაბამისად, 50 და 100 ათასი დოლარი იქნება.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" თავდამსხმელ დავიდ ტრეზეგეთი „არსენალი" და „რეალი" დაინტერესდნენ. ეს ორი გრანდი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ტრეზეგემ ხელფასის გაორმაგება მოსთხოვა „იუვენტუსს". „არსენალი" მზადაა, ფეხბურთელის სანაცვლოდ ტურინელებს 70 მილიონი ევრო გადაუხადოს, თავად ტრეზეგეს კი ჯამაგირად 4 მილიონი ევრო დაუნიშნოს. „რეალს" ფრანგი მორიენტესის შემცვლელად სურს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი „სამეფო კლუბს" დატოვებს.

**თურქეთის** ნაკრების და „ფენერბაჰჩეს" მეკარე რუშთუ რექბერის გადაბირება ორ ინგლისურ გრანდს — „არსენალს" და „მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ. „მეთოფეთა" თავკაც არსენ ვენგერს 10 მილიონ გირვანქად შეფასებული რუშთუ დევიდ სიმენის შემცვლელად სჭირდება. ალექს ფერგიუსონს კი ბარტეზის მიერ კლუბის დატოვების შესახებ დაწერილი განცხადება აშფოთებს და თადარიგს იჭერს. რაც შეეხება თავად რუშთუს, მას „ფენერბაჰჩედან" წასვლა საბოლოოდ გადაუწყვეტია. მისი გადაბირების სურვილი აქამდე მიუნხენის „ბაიერნს" და „ასტონ ვილასაც" ჰქონდათ.

**გერმანული** „ლევერკუზენი" მზადაა, „ტოტენჰემის" უკრაინელი ლეგიონერის სერგეი რებროვის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ლევერკუზენელები ლონდონელთა სიტყვას ელიან, თავად რებროვს კი ძალიან სურს, კარიერა გერმანიაში გააგრძელოს.

## შვეიცარია

### II ეტაპი. A ჯგუფი. XI ტური

**ციურიხი 1:1 გრასჰოპერი**

0:1 ბაჟუიზა (38), 1:1 იოდიჩე (62)
ციურიხი: პასკოლო, ს. კელერი, ფიშერი, კვენტინი, ბალმსი, ალანი, ჩინაზა, იოდიჩე, გიგაძე (ოენენი 61), იასარი (იაშარი 90), კეიტა (რენფერი 64)
მიხეილ გავილაშვილი ტრავმირებულია
მსაჯი: მაიერი
7 800 მაყურებელი

**ლუგანო 2:0 სიონი**

1:0 ბასტიდა (19), 2:0 ჟ. როსი (85)

**სენტ გალენი 1:3 სერვეტი**

1:0 იმჰოფი (5), 1:1 ა. ფრეი (47), 1:2 ლონფატი (53), 1:3 რ. პინტუ (81)

**იანგ ბოისი 0:3 ბაზელი**

0:1, 0:2 ტუმი (11, 13), 0:3 კუმანტარაკისი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 11 | 10 | 0 | 1 | 30:8 | 52 |
| ლუგანო | 11 | 7 | 2 | 2 | 18:10 | 42 |
| გრასჰოპერი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 38 |
| სერვეტი | 11 | 5 | 2 | 4 | 22:21 | 34 |
| იანგ ბოისი | 11 | 4 | 2 | 5 | 17:18 | 30 |
| ციურიხი | 11 | 4 | 1 | 6 | 9:15 | 28 |
| სენტ გალენი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 27 |
| სიონი | 11 | 0 | 0 | 11 | 5:31 | 17 |

### II ეტაპი. A/B ჯგუფი. XI ტური

**ლუცერნი 2:2 აარაუ**

1:0 გიანი (28), 2:0 ნოგერა (51), 2:1 ხომერიკი (71), 2:2 ბენიტო (90პ)
ლუცერნი: შორონმუ, ო. მარიჩი, პოდელი, ნევედი, ალექსანდრე, გიანი, კ. შვეგლერი, მეზეთი, პ. კოხი (პოფერი 75), ნოგერა (მ. მაიერი 77), ჯამარაული
აარაუ: ბენიტო, ფისტერი, ეგიმენი, პეიჯი, სკრტიჩაკი, ბალდასარი, ოკპალა (ხომერიკი 46), მელუნოვიჩი (მორეტო 72), ტარონე, დე ნაპოლი, შმიდტი (გუდი 35)
მსაჯი: შოხი
2 962 მაყურებელი

**დელემონი 0:0 თუნი**

**ვინტერთური 1:4 ლოზანა**

0:1 ინგუშიო (25), 1:1 პერცელერი (50), 1:2, 1:3, 1:4 ინგუშიო (68, 76, 90)

**ქსამაქსი 2:0 ვილი**

1:0 ვიდერკერი (21), 2:0 შასო (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 11 | 7 | 4 | 0 | 24:8 | 25 |
| ლოზანა | 11 | 6 | 2 | 3 | 17:11 | 20 |
| ვილი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:9 | 18 |
| აარაუ | 11 | 4 | 3 | 4 | 14:17 | 15 |
| თუნი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:15 | 14 |
| დელემონი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:13 | 13 |
| ლუცერნი | 11 | 2 | 3 | 6 | 21:22 | 9 |
| ვინტერთური | 11 | 1 | 3 | 7 | 10:24 | 6 |

# უალტერნატივო და სხვები
## ევროპამ აზია შეიერთა



### ლენარტ იუჰანსონი

დაიბადა 1929 წლის 5 ნოემბერს
*1962: დაინიშნა სტოკჰოლმის აიკ-ის სპორტულ დირექტორად*
*1967-79: გახდა შვედეთის საფეხბურთო ლიგის წევრი*
*1967-80: აიკ-ის თავმჯდომარე*
*1976-84: შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის წევრია*
*1979-84: შვედეთის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე*
*1984-91: შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე*
*1984-88: უეფას ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრია*
*1988: აირჩიეს უეფას აღმასრულებელ კომიტეტში*
*1990: აირჩიეს უეფას პრეზიდენტად და ფიფას ვიცე-პრეზიდენტად*
*1998: ფიფას პრეზიდენტის პოსტზე არჩევნებში ზეპ ბლატერთან დამარცხდა*
*2001: აღმოუჩინეს სიმსივნე, მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა*
*2002: 26 აპრილს ზედიზედ მეოთხედ აირჩიეს უეფას პრეზიდენტად*
*1950-2002: საფეხბურთო საქმიანობასთან ერთად წარმატებული ბიზნესმენიცაა, ფლობს რამდენიმე შვედურ კომპანიას*

**სტოკჰოლმში**, უეფას კონგრესზე, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები გაიმართა. კომიტეტში ადგილები თურქმა სენას ერზიკმა, ესპანელმა ანხელ მარია ვილიარმა, შვეიცარიელმა ჯანჯორჯო სპისმა და რუსმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა შეინარჩუნეს. აღსანიშნავია, რომ ამათგან ყველაზე ნაკლები ხმა კოლოსკოვმა მიიღო.

რაც შეეხება ახალ წევრებს, ასეთი სამია — საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კლოდ სიმონეს ადგილი ვიცე-პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ დაიკავა. ირლანდიელი დეს კეისი და ჩეხი ფრანტიშეკ ჩვალოვსკი, შესაბამისად, ისლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, 55 წლის ეგერტ მაგნუსონმა და ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, 50 წლის ანრი როემერმა შეცვალეს. ამავე სხდომაზე უეფამ თავის რიგებში ყაზახეთის მიღების ადრევე გადაწყვეტილი საკითხიც დაამტკიცა. ასე რომ, შუააზიური ქვეყანა უეფას 52-ე წევრი გახდა.

კონგრესზე მთავარი თემა მაინც ლენარტ იუჰანსონის კიდევ 4 წლით უეფას პრეზიდენტად არჩევა იყო. გუშინაც ვწერდით, რომ შვედს კონკურენტი არც ჰყოლია და თანამდებობაც უმტკივნეულოდ შეინარჩუნა.

**სერგი ძორიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## Copa Toyota Libertadores 2002

### ლიბერტადორესის თასი 2002

#### მერვედფინალი. I მატჩები

**ელ ნასიონალი (ეკვადორი) 0:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

**უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე) 1:1 სან კაეტანო (ბრაზილია)**

0:1 ანაილსონი (9), 1:1 კამპოსი (28)

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. გადადებული მატჩი

**გრააფსხაპი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 ვალევი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 32 | 20 | 7 | 5 | 69:34 | 67 |
| პსვ | 32 | 19 | 7 | 6 | 72:30 | 64 |
| ფეიენოორდი | 32 | 18 | 6 | 8 | 65:27 | 60 |
| ჰერენვენი | 32 | 17 | 8 | 7 | 55:24 | 59 |
| ვიტესი | 32 | 15 | 12 | 5 | 39:29 | 57 |
| უტრეხტი | 32 | 14 | 8 | 10 | 60:49 | 50 |
| ბრედა | 32 | 14 | 8 | 10 | 52:51 | 50 |
| ვალვაიკი | 32 | 13 | 6 | 13 | 46:41 | 45 |
| ნაიმეგენი | 32 | 13 | 6 | 13 | 38:52 | 45 |
| ტილბურგი | 32 | 10 | 12 | 10 | 52:57 | 42 |
| ტვენტე | 32 | 9 | 11 | 12 | 39:41 | 38 |
| ალკმაარი | 32 | 10 | 7 | 15 | 37:45 | 37 |
| როდა | 32 | 10 | 7 | 15 | 32:45 | 37 |
| გრააფსხაპი | 32 | 10 | 6 | 16 | 41:51 | 36 |
| დენ ბოსხი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:52 | 33 |
| გრონინგენი | 32 | 9 | 6 | 17 | 38:59 | 33 |
| სპარტა | 32 | 4 | 11 | 17 | 26:72 | 23 |
| სიტარდი | 32 | 3 | 7 | 22 | 26:68 | 16 |

იყიდება
ბინა ინდივიდუალური
პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ფასი შეთანხმებით
ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიკოსთან"
☎ (231) 7 17 58



# მსოფლიოს ჩემპიონატი

## H ჯგუფი: იაპონია, ბელგია, რუსეთი, ტუნისი



**ფართობი:** 163 610 კმ²
**მოსახლეობა:** 9 590 000
**დედაქალაქი:** ტუნისი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1956 წელს
ფიფას წევრი 1960 წლიდან
აფრიკის კონფედერაციის წევრი 1960 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ტარეკ ბენ მბარექი
**გენერალური მდივანი:** ამორ დარაგი
**სტადიონი:** „სტად ოლიმპიკ ელ მენზაჰი" (50 000)
**მწვრთნელები:** ამარ სუაია
**კაპიტანი:** ჩოქრი ელ უარი
**ფორმა:** წითელი მაისურა, თეთრი ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ესპერანსი", „კლუბ აფრიკანი", „ბიზერტე", „სტად გალუაზი", „ტუნისიენი", „ეტოილ საჰელი"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 29




## არის ასეთი ქვეყანა

ჩალმები, ბებუთები, ტერორი, ფუნდამენტალიზმი — ეს სიტყვები არაბული ქვეყნების უმეტესობას კარგად ერგება, მაგრამ არა ტუნისს, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობს აფრიკაში, თორემ სუფთა ევროპული ქვეყანაა. ნახსენები ატრიბუტიკის ნაცვლად უფრო შენიშნავთ ოფისებს, „ფირმა" მანქანებს, ბორდელებს და გახამებულ საყელოებს — ეს ყველაფერი დასავლური ცივილიზაციის გავლენაა, კერძოდ, ფრანგულის. თითქმის მთელი არაბული აფრიკა ასი წლის წინ საფრანგეთს ეკუთვნოდა, მაგრამ ფრანგული კვალი ყველაზე მეტად ტუნისში იგრძნობა. ყვავის ტურიზმი. დიახ ზომიერ ფასებში უნაპირო ქვიშიან პლაჟებზე დაისვენებთ, ახლა ქარავნებით ოაზისებში გასეირნებაზე რა აზრის ხართ? უდაბურ კუნძულზე პალმების ქვეშ კოტრიალსაც არა უშავს.

მეორე მხრივ: ტუნისელებმა იციან თავიანთი გორის სახელი, მუსლიმანურ აღმსარებლობას ზომიერი ერთგულებით მისდევენ და ქვეყნისავე სახელის მქონე დედაქალაქშია მაჰმადიანურ სამყაროში ყველაზე დიდი უნივერსიტეტი, სადაც ლექციებზე ყურანის სურებს არაიშვიათად კითხულობენ.

უისლამო ტუნისი კი გახლავთ კართაგენი, სემიტ ფინიკიელთა უძველესი საზღვაო ოდისეების მთავარი ფინიში, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე კბილებს ამტვრევდა რომის რესპუბლიკის უძლეველ ლეგიონებს. ბოლოს ჰანიბალი და მისი ქვეშევრდომები დამარცხდნენ და რომაელებმა შეასრულეს თავიანთი სენატორის უსასრულო ღაღადი: „კართაგენი უნდა დაინგრეს"! დღეს კართაგენი მხოლოდ ტურისტებს აინტერესებთ.

**დავით გულუა**



# კართაგენი არ უნდა დაინგრეს!

**ახლა,** როცა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი თვეღა დარჩა, მონაწილეთაგან ყველაზე არეული ვითარება ტუნისელთა ბანაკშია. იანვარში, აფრიკის ეროვნებათა თასზე ჩაფლავების შემდეგ ახალდანიშნულ ფრანგ მწვრთნელ ანრი მიშელს წყალი შეუდგა და გაზაფხულზე თანამდებობიდან დაითხოვეს. მისი სკამი ადგილობრივმა ამარ სუაიამ დაიკავა, მაგრამ მაშრიყელის კანდიდატურას ქვეყანაში ბევრი ეჭვის თვალით უმზერს და როგორც ამბობენ, საბოლოოდ ისევ უცხოელს, თანაც ფრანგს მიიწვევენ. ხმა დაირხა, ეს „ახალი" როლან კურბისი იქნებაო, ვისაც „ბორდოსა" და „მარსელში" მუშაობით გაუთქვამს სახელი. ახლა კურბისი „აიაჩოს" მოძღვრავს, ეს კლუბი ფრანგულ ელიტაში ალაზევა და ჩანს, თავადაც დაინტერესებულია ჩრდილოაფრიკელთა შეთავაზებით.

ბოლო დროს ტუნისელებს მწვრთნელების ხშირი ცვლა დასჩემდათ. კორეა-იაპონიის შესარჩევი ციკლისას „კართაგენელ არწივებთან" ჯერ იტალიელი ფრანჩესკო სკოლიო მუშაობდა, ვინც მერე სერია B-ს „ჯენოას" ჩაუდგა სათავეში და თან ოთხი ტუნისელი წაიყვანა. ციკლი გერმანელმა კრატცენმა ჩაამთავრა, მაგრამ ეტყობა, სამსოფლიოს ჩემპიონატოდ ამ კაცის კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებდათ და ანრი მიშელის მიწვევა გადაწყვიტეს. მერე კი, რაც მოხდა, უკვე ვიცით.

აფრიკის ქვეყნებიდან ტუნისი ფიფა—კოკა-კოლას რეიტინგში ყველაზე მაღლა დგას და ამიტომ ეროვნებათა თასზე, მალიში ფავორიტებად ჩავიდნენ, ხოლო იქიდან კუდამოძუებულნი გამობრუნდნენ. ჯგუფიდან ხომ ვერ გავიდნენ (ზამბიასა და სენეგალთან 0:0, ეგვიპტესთან 0:1) და ტურნირი ისე დაამთავრეს, გოლი არ გაუტანიათ. ყველაზე სამარცხვინო კი ის იყო, რომ ბოლო ტურში, მეოთხედფინალში უკვე გასულმა სენეგალმა მეორე შემადგენლობა დაუპირისპირა და „არწივებმა" მათაც ვერაფერი მოუხერხეს.

მიშელი, ვინც თავის ფეხბურთელებს მანამდეც აკრიტიკებდა, სულ გადაირია, უბრალო ტექნიკურ-ტაქტიკურ რამეებს ვერ ასრულებენ და საერთოდ, უტვინოები არიანო — დაიჩივლა, თუმცა წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობა თავადაც იტვირთა.

ტურნირზე ტუნისელებს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. არ წაიყვანეს ოდინდელი კაპიტანი სამი ტრაბელსი, ახალგაზრდა იმედი, 17 წლის ალი ზიტუნი და გატუნისებული ბრაზილიელი ადაილტონი. ჩვენებურთა ფრაიბურგელმა თანაგუნდელმა ადელ სელიმიმ, ვინც „არწივების" ვარსკვლავად ითვლება, საკლუბო მიზეზით ჯერ ანდალუსიასთან ამხანაგურად თამაშზე თქვა უარი, მერე ეროვნებათა თასზე. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კი ნაკრებიდან მოკვეთა, აქაო და, კლუბის ინტერესებს ნაკრებისაზე მაღლა აყენებსო. ახლახან ვითარება შეიცვალა, მაგრამ სელიმის დაბრუნება - არდაბრუნების საკითხი ჯერაც გაურკვეველია.

ტუნისელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ ორჯერ უთამაშიათ, 1978 და 98 წლებში. არგენტინის მუნდიალზე „კართაგენელი არწივები" პირველი აფრიკული ქვეყანა გახდნენ, ტურნირში გამარჯვება რომ მოახერხეს. მაშინ მექსიკას 3:1 მოუგეს, პოლონეთთან 0:1 წააგეს და ჯერაც მსოფლიოს ჩემპიონ დასავლეთ გერმანიასთან უგოლო ფრე გააჩერხეს, რაც უდავო წარმატება იყო, თუმცა ჯგუფიდან მაინც ვერ გავიდნენ. 20 წლის შემდეგ კი საფრანგეთში ბევრად მოკრძალებულად იბურთავეს; ინგლისთან 0:2, კოლუმბიასთან 0:1, რუმინეთთან 1:1 და ცხადია, პლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

კარგა ხანს კართაგენელი მოთამაშეები უცხოეთში წასვლაზე არც ფიქრობდნენ და საკუთარ წვენში იხარშებოდნენ, მაგრამ დრომ და ვითარებამ ისინიც ევროპისკენ მიახედა. თავიდან თურქეთსა და გერმანიაში გამოჩნდნენ, მერე კი გეოგრაფია გაფართოვდა. დღეს ხალედ ბადრა, რაუფ ბუზაიანი, ჰასან გაბსი და შემტევი იმედ მჰაჯები „ჯენოაში" თამაშობენ, მეჰდი ნაფტი ესპანურ „რასინგში", ჰატემ ტრაბელსი „აიაქსში", ხოლო აშურ ბენ სლიმანი ფრანგულ „მარტიგში". ეს პროცესი გრძელდება და ვინძლო მალე მთელი ნაკრები ლეგიონერებისა გახდეს.

კორეა-იაპონიაში ტუნისი გამოცდილი ფეხბურთელებით მიემგზავრება. ლამის მთელ უკანა ხაზს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის სკოლა გაუვლია. კარში კაცი-ლეგენდა, 35 წლის ჩოქრი ელ უარი უდგათ, ვინც კართაგენელთათვის ლამის იგივეა, რაც პარაგვაელთათვის ჩილავერტი. ერთი ხანი ისიც „ჯენოას" კარს იცავდა, მაგრამ საქმეები ვერ აეწყო და მშობლიურ „ესპერანსში" დაბრუნება აჯობინა.

დაცვაში მთავარი ხალხი ტრაბელსი, ბადრა და ვალდჰოფელი მუნირ ბუკადიდა არიან. შუა ხაზში ბეშიქთაშელი ზუბეირ ბეია, ვინც მანამდე ოთხი სეზონი „ფრაიბურგში" გაატარა, გაბსი, სირაჟედონ ჩიჰი და კაის გოდბანი გამოირჩევიან, შეტევაში კი ახალგაზრდები, ზიად ჯაზირი და ალი ზიტუნი, რომლებსაც ტუნისელები ალბათ ასაკის გამო ანრი - ტრეზეგეს წყვილს ადარებენ.

აი, ასეთია ტუნისის ნაკრები. მათ ჯგუფის აუტსაიდერებად მიიჩნევენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კართაგენელები ზაფხულში სულაც არ იქნებიან ისეთნი, როგორებიც ზამთარში აფრიკის ეროვნებათა თასისას იყვნენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე სუსტი გუნდები არ არსებობენ და თუ თამაში წაუვიდათ, ეგებ ვილაც-ვილაცეები გაამწარონ კიდეც, თუმცა ჯერ მწვრთნელის ამბავი მოაგვარონ და მერე ვნახოთ.

**სოლომონ გულისაშვილი**



კორეა-იაპონიაში ტუნისელებს ასეთი ქომაგიც არ მოაკლდება

## ოპტიმალური შემადგენლობა




### მატჩები

5 ივნისი
კობე (იაპონია) 10.30 საათი
„კობე ვინგ სტადიუმი"
ტუნისი – რუსეთი

10 ივნისი
ოიტა (იაპონია) 13.00 საათი
„ოიტა სტადიუმ ბიგ ეიე"
ტუნისი – ბელგია

14 ივნისი
ოსაკა (იაპონია) 15.30 საათი
„ნაგაი სტადიუმი"
ტუნისი – იაპონია

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**I შესარჩევი ეტაპი**

07.04.00
მავრიტანია 1:2 ტუნისი
22.04.00
ტუნისი 3:0 მავრიტანია

**II შესარჩევი ეტაპი. IV ჯგუფი**

18.06.00
კოტ დივუარი 2:2 ტუნისი
08.07.00
ტუნისი 1:0 მადაგასკარი
28.01.01
კონგო 1:2 ტუნისი
25.02.01
ტუნისი 6:0 კონგოს დრ
05.05.01
მადაგასკარი 0:2 ტუნისი
20.05.01
ტუნისი 1:1 კოტ დივუარი
01.07.01
ტუნისი 6:0 კონგო
15.07.01
კონგოს დრ 0:3 ტუნისი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 8 | 6 | 2 | 0 | 23:4 | 20 |
| კოტ დივუარი | 8 | 4 | 3 | 1 | 18:8 | 15 |
| კონგოს დრ | 8 | 3 | 1 | 4 | 7:16 | 10 |
| მადაგასკარი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:15 | 6 |
| კონგო | 8 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 |

## ტიტულები

აფრიკის თასის ბრინჯაოს მედალოსანი (1): 1962



ჟან-მარი ლე პენი საფრანგეთის ნაკრებს განახევრებას უპირებს

# მარცხნისააააკენ!

## ვენგერს შერცხვა, რომ არ მისცა

„თავს დამნაშავედ ვგრძნობ... ჩვენი პასიურობა გაუმართლებელია... მეგონა, ეს პრობლემა ჩვენში საერთოდ აღარ არსებობდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ყოფილა" — განაცხადა გუშინ ლონდონის „არსენალის" ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

მაინც რამ შეაწუხა ინგლისური პრემიერლიგის ლიდერის და ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატის თავკაცი? მისმა გუნდმა ხომ კვირას მორიგი მატჩიც მოიგო და კვლავ ცხრილის სათავეში მოექცა?

მაგრამ ზუსტად იმავ კვირას ვენგერის სამშობლომ მთელი ევროპა შოკში ჩააგდო — ალბათ მიხვდით, ლაპარაკია საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებზე, სადაც ნაციონალური ფრონტის ლიდერმა, ულტრამემარჯვენე ჟან-მარი ლე პენმა ჟაკ შირაკთან ერთად მეორე ტურში გასვლა მოახერხა.

„ეს 17,2 პროცენტი ძალიან ცუდი ნიშანია. ჩემი და ჩემისთანების პასიურობა, ანუ არჩევნებზე არმისვლა ლე პენს გაქაჩვის საშუალებას აძლევს. არა მგონია, „არსენალის" ფრანგთაგან ვინმეს არჩევნებში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ახლა ყველას შეწუხება და შემდეგი, გადამწყვეტი ტურისთვის გარეთ გასვლა მოგვიწევს, ვინაიდან თითოეული ჩვენგანის კარს ლე პენი მოადგა" — ამბობს ვენგერი.

თავი გავანებოთ იმას, რომ ნაციონალური ფრონტის მისწრაფება ყველა ძირითად საერთო-ევროპულ კანონს ეწინააღმდეგება და იმასაც, რომ ლე პენის გაპრეზიდენტების შემთხვევაში 3 მილიონამდე ემიგრანტს, ალბათ, საფრანგეთიდან აბარგება მოუწევს. ეს ჩვენი გაზეთის თემატიკას სცილდება, მაგრამ უბრალოდ, მსოფლიოსა და ევროპის ამჟამინდელი ჩემპიონი გავიხსენოთ და მივხვდებით, რას უქადის რასისტი ლე პენი ამ მშვენიერ გუნდს.

„ემიგრანტებმა ქამრებმა უნდა მოიჭირონ. სხვანაირად ისინი ისევ ჩვენს სახლებში დასახლდებიან, ჩვენს საჭმელს შეთქვლეფავენ და ჩვენს ცოლებსა და ქალიშვილებთან ისიამოვნებენ" — ამ სიტყვების ავტორის პარტიას დიდი ხანია საემიგრაციო კანონის პროექტი აქვს მომზადებული, რომლის მიხედვით დეპორტაციას ექვემდებარებიან თვით მეორე თაობის ემიგრანტებიც კი. ასეთია, მაგალითად, ტიერი ანრი, რომელიც პარიზში კი დაიბადა, მაგრამ მშობლები ანტილიის კუნძულებიდან ჰყავს. იგივე ითქმის თვით ზინედინ ზიდანზე, მარსელელ ბიჭზე, რომლის „დანაშაულიც" ისაა, რომ დედ-მამა ალჟირელები ჰყავს. მაშ, რაღა ელით განაში დაბადებულ მარსელ დესაის, სენეგალში შობილ პატრიკ ვიეირას, გვადელუპელ ლილიან ტიურამსა და ახალ კალედონიიდან ჩასულ კრისტიან კარემბუს? ჩამონათვალი დიდია — სომეხ-ყალმუხ იური ჯორკაეფიდან დაწყებული და „რეალის" კლოდ მაკელელეთი დამთავრებული.

„არც მაგის პრეზიდენტობა სჭირდება ვინმეს და არც მაგის გემოვნებით შედგენილი ნაკრები. მის გუნდში ყველანი მარჯვენა ფრთაზე გამწესდებიან, მარცხენა კი ცარიელი დაგვრჩება" — აფრთხილებს თანამემამულეებს არსენ ვენგერი და არჩევნების მეორე ტურში ამჟამინდელი პრეზიდენტის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

**გიგა ძოგახიძე**



არსენ ვენგერს ტიერი ანრი არჩევნებზე მიჰყავს

# ნენსი VS ულრიკა

## სვენი შაავგრემანს დარჩა


სვენ გორან ერიკსონმა ნენსის მზერას ვერ გაუძლო და ულრიკა დაივიწყა



**„არსენალმა"** ტრადიციისამებრ „ჰაიბერიზე" ერთი მატჩიც მოიგო, „ვესტ ჰემი" 2:0 დაამარცხა, პრემიერლიგის ჩემპიონობა დაიახლოვა და ამ თამაშზე ტაბლოიდების პაპარაცთა აქტივობაც ნორმალურზე მაღალი იყო: თამაშს სვენ გორან ერიკსონი და მისი საყვარელი ნენსი დელ ოლიო დაესწრნენ. ნენსის თეთრი კოსტიუმი და შავი თმა შვენოდა, დაუზარელად აჩენდა 32 კბილს და ფანებთან ცოცხლად ჭიკჭიკებდა ხაზური დაცვის უპირატესობასა და კორეა-იაპონიაში ინგლისის ნაკრების პერსპექტივებზე. ისე დაუმშვენდა ცხვირი, მაგას რომ ფეხბურთის სიღრმეები აინტერესებს, მაგრამ რაც აინტერესებდა, ის კი მოიგო და ემოცია როგორმე ხომ უნდა გამოეხატა.

37 წლის ნენსის თავზარი დაეცა წინა პარასკევს, როცა შეიტყო, რომ მისი სვენ გორანი თურმე სხვა ვინმეს ლოგინის ამხანაგიც ყოფილა. „ბი-ბი-სის" წამყვანი ულრიკა იონსენი და ერიკსონი ყოვლისმჭვრეტმა პაპარაცებმა რესტორანში ერთად ნახეს და მერე ულრიკას მსახურთაც გააცხადეს, დედიშობილებს შევუსწარით საძინებელში, სადაც, ვგონებთ, არასაფეხბურთო ტაქტიკას ამუღამებდნენო.

„სანს" და მისთანა ყვითელ გაზეთებს მასალა მიეცათ და ერთი კვირაა, პირველ გვერდზე მეტი არაფერი უწერიათ. ნენსი აღშფოთებას არ აჩენდა, არც დრამის სხვა მონაწილენი და ჩანდა, რომ კვანძი კულისებში უნდა გახსნილიყო.

და გუშინ ულრიკა იონსენმა განაცხადა, ერიკსონთან კავშირი გავწყვიტე, ჩვენ ერთმანეთს აღარ ვიცნობთო. „მინდა, აგრეთვე გითხრათ — არცთუ მხიარულად უთხრა ულრიკამ მასმედიას — რომ სვენ გორან ერიკსონისთვის არასდროს არავითარი ულტიმატუმი არ წამიყენებია, რასაც პრესა გულმოდგინედ მაბრალებდა და გულშიც ხინჯი არა მაქვს. მსოფლიოს თასზე წარმატებას ვუსურვებ".

მაშ, რაღ გვიკვირს, რომ ამის შემდეგ ნენსი დელ ოლიოს დაქალმა განაცხადა, ნენსი დიდი ბრძოლის მომგებ სარდალს მაგონებდაო. „კიდევ ის ჰგავდა კატას, რომელსაც კრემი აჭამეს" — თქვა დაქალმა. დიახ, ძვირი კრემი, სახელად სვენ გორან ერიკსონი უწინდელ მფლობელს დარჩა და ულრიკა იონსენი მას ახლო ხანებში ველარ შეთქვლეფს. მერე კი ვნახოთ...

**დავით გულუა.**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ორიოდ დღის წინ „სარბიელის" კოსმოპოლიტური ბიუროს ოფისის კარი აღელვებულმა, ხანშიშესულმა მამაკაცმა შემოაღო. ექსტრაკულაცია და ცრემლები პირდაპირ მიუთითებდნენ ცხოვრებისეულ დრამაზე, მეტიც, ტრაგედიაზე, რომელიც მას გადახდა, თუმცა რა ტრაგედიასთან გვქონდა საქმე იმჟამად, ბუნებრივია, უცნობი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ მამაკაცი გვეცნო, თუმცა თავიდან მოულოდნელობის ეფექტი მძლავრობდა, მაგრამ როდესაც მან მეტისმეტი განცდისგან ჩვენი თეფშიდან ერთადერთ გადარჩენილ ფორთოხალს სტაცა ხელი და კვნესლა დაუწყო, ნათელი შეიქნა — ჩვენს წინ იდგა ის, ვისაც დედა დღემდე ედსონს ეძახის, დანარჩენ მსოფლიოს, ცოლ-შვილის ჩათვლით კი ამსიგრძე სახელის გამოთქმა ეზარება და მოკლედ პელეს უწოდებს.

— მომბეზრდა — იღრიალა ფეხბურთის მეფემ, თავიდან გვირგვინი მოიხსნა და იატაკზე დაანარცხა — უნდა ვაღიარო, უბედური კაცი ვარ!

— დიდო მეფეო, თქვენ?..

ის ძლიერ აქვითინდა, ფორთოხალი მკერდიდან ფეხზე დაიგდო და უძლიერესი დარტყმით კედელზე გაკრულ მარადონას პლაკატს გაარტყა თავში.

— უბედური კაცი ვარ და ცივილიზებულ მსოფლიოში ეს ვერავისთვის მითქვამს. ამიტომაც ჩამოვედი თქვენთან, საქართველოში, სადაც ვიცი, გამიგებთ, სადაც ჩემი სახელით მილიონებს არ აკეთებთ და არ მეტყვით, ახლავე ცრემლი მოიწმინდე, გაიღიმე და სარეკლამოდ ფოტო გადაიღეო. უბედური კაცი ვარ.

მეფეს, უპირველეს ყოვლისა, სიბაზონი დავალევინეთ, შემდეგ ჰემოგლობინი შევუმოწმეთ, ექოსკოპია ჩავუტარეთ და როდესაც დაწყნარდა, სავარძელში ჩავსვით, საიდანაც აი, ასეთი ამბავი გვიამბო:

— ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც დილით, კბილების ხეხვისას კარზე დამიკაკუნეს. გავაღე, ჩემს წინ ჩემზე ასე, ხუთი-ექვსი წლით უფროსი ქალი იდგა. მამა! — იყვირა მან ჩემს დანახვაზე და ჩამეხვია. მეც ავტირდი, ტირილით გული რომ ვიჯერეთ, ვკითხე დედა როგორ არის მეთქი. მოკვდაო, მითხრა და ისევ ატირდა. მეც ისევ ავტირდი. გავიდა დაახლოებით ერთი ტაიმი და გამახსენდა, რომ არ ვიცნობდი. ვინ ხარ შვილო, მეთქი. მე ის ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერმანიასთან 10:0 გამარჯვების წინა დღეს, სასტუმროს ნომერში კახპასთან რომ ჩასახეო. თვალები მოვიფშვნიტე. როგორო, იკივლა მან, ნუთუ არ გახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდიო?! როგორ არა მეთქი. ნუთუ დაგავიწყდა შენზე კარგად ფეხბურთს რომ არავინ თამაშობდა და ვერც ვერავინ ითამაშებსო?! მაგას რა დამავიწყებს მეთქი. ნუთუ ისიც არ გახსენდება, გერმანიას 10:0 რომ მოუგეთ და ათივე გოლი შენ გაიტანეო? კეფა მოვიქექე, ცოტა ჩავფიქრდი და თვალწინ ნათლად დამიდგა ის დრიბლინგი, ის მაკრატელა, ის ცენტრსიქიდან დარტყმული გერმანელებს თავს რომ დავავლე. აბა, აბა, რა დრო იყო, მეთქი. აბა, ის დაგავიწყდა, ქალებში რომ დადიოდიო? უჰ, რას ამბობ, მეთქი ჰოდა, მაშინ რა ჯანდაბა გინდა, აგერ მაქვს საბუთები მამობის აღიარების შესახებ (თურმე მზად არსებობს და მაკდონალდსებში ჩიპსებს მოჰყვება), შენი ხელის მოწერაღა აკლია, მფლანგველი ქალი მე არ ვარ, ძვირი არ დაგიჯდები და სადაც ნახევარი ბრაზილიის მამობა აღიარე, ჩემს მამობაზე უარი რატომ უნდა თქვა — მიდი, ჰე, დავაიო. რაღა დამრჩენოდა, მოვუწერე საბუთზე ხელი და ბედნიერებისგან ორივემ ვიტირეთ. შემდეგ კი ის ქალი წავიდა, ხოლო მე, შინ მარტო დარჩენილმა ტელევიზორი ჩავრთე და ვნახე გადაცემა: „პელე — ჩვენი მამა და ფეხბურთის მეფე" — ჰოდა, სწორედ მაშინ ავქვითინდი ახალი შემართებით. სწორედ მაშინ მივხვდი ჩემს შეცდომას. მაშინ ვიგრძენი, რომ მომბეზრდა...

— მერე, დიდო მეფეო?

— მერე ის, რომ აღარ მინდა დიდი მეფობა, მერე ის, რომ ყელში ამომივიდა ყველაფერი, მიშველეთ რამე, დაუმტკიცეთ მსოფლიოს, რომ ჩემს შესახებ ნახევარზე მეტს ტყუილს ამბობენ. ეს ყველაფერი მითია, მე კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი კარგი ფეხბურთელი ვიყავი (ოღონდ, მარადონას ვჯობდი) ყოველგვარი ამბიციების გარეშე. აბა, მითხარით, განა ის პასი, 1970 წლის ფინალში კარლოს ალბერტოს რომ მივაწოდე და გენიალურად ჩათვალეს, რაიმეთი არის განსაკუთრებული? მე ხელს არავინ მიშლიდა და კარლოს ალბერტოსაც ხელს არავინ უშლიდა. უბრალოდ ჩემგან მარჯვნივ გავაგორე ბურთი, ასე ხომ ყველა გააგორებდა, რა ჯანდაბა იყო ამაში გამორჩეული, მითხარით, რა, რა, რა...

და მისმა უდიდებულესობამ სავარძლის მტვრევას მიჰყო ხელი, შემდეგ სადღაც წაბლი იშოვნა და ისევ კვნესლას მოჰყვა. ჩვენ სასწრაფოს გამოვუძახეთ, ოღონდ მტკიცედ აღვუთქვით ხელმწიფეს:

ა) უახლოეს მიმოხილვაში დავასაბუთებთ, რომ ის სულაც არ არის „მეფე" და უკვდავი ანუ ერთი ჩვეულებრივი მოთამაშე იყო.

ბ) იმის შემდგომ მიმოხილვაში მიმოვიხილავთ დიეგო მარადონას პრობლემებს.

**ბაკუნა ძიძია**

ყველაფერი, რაც ზევით წაიკითხეთ ხუმრობაა.
ჩვენ პელე ძალიან გვიყვარს და პელესაც ძალიან ვუყვარვართ.



## იტალია

პაპუნა კაღია



2001 წლის 1 აპრილი. იუვენტუსი — ბრეშა 1:1. რობერტო ბაჯოს გოლმა სტუმრებს სერია A-ში ადგილი გაუნაღდა

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| ზვალ | | |
| იუვენტუსი | - | ბრეშა |
| რომა | - | კიევო |
| ბოლონია | - | ლაციო |
| ვერონა | - | მილანი |
| ფიორენტინა | - | პარმა |
| ატალანტა | - | პერუჯა |
| ინტერი | - | პიაჩენცა |
| ვენეცია | - | ტორინო |
| ლეჩე | - | უდინეზე |

| საქლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 32 | 19 | 9 | 4 | 57:30 | 66 |
| იუვენტუსი | 32 | 18 | 11 | 3 | 57:23 | 65 |
| რომა | 32 | 17 | 13 | 2 | 52:24 | 64 |
| კიევო | 32 | 13 | 12 | 7 | 55:46 | 51 |
| ლაციო | 32 | 13 | 11 | 8 | 46:33 | 50 |
| მილანი | 32 | 12 | 13 | 7 | 42:32 | 49 |
| ბოლონია | 32 | 14 | 7 | 11 | 38:37 | 49 |
| პერუჯა | 32 | 12 | 7 | 13 | 35:44 | 43 |
| ტორინო | 32 | 10 | 12 | 10 | 36:37 | 42 |
| ატალანტა | 32 | 11 | 9 | 12 | 38:47 | 42 |
| პიაჩენცა | 32 | 10 | 9 | 13 | 45:40 | 39 |
| ვერონა | 32 | 11 | 6 | 15 | 40:48 | 39 |
| პარმა | 32 | 10 | 8 | 14 | 39:45 | 38 |
| ბრეშა | 32 | 8 | 13 | 11 | 40:47 | 37 |
| უდინეზე | 32 | 10 | 7 | 15 | 39:49 | 37 |
| ლეჩე | 32 | 6 | 10 | 16 | 35:51 | 28 |
| ფიორენტინა | 32 | 5 | 7 | 20 | 28:59 | 22 |
| ვენეცია | 32 | 3 | 8 | 21 | 28:58 | 17 |

# სერია A დასასრულთან მიბაჯბაჯდა

**ხვალ** სრულიად იტალიის უსაყვარლესმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ ძველებურად საყოველთაო ყურადღება უნდა იგრძნოს. იგი და მისი „ბრეშა“ სკუდეტოსთვის მებრძოლ „იუვენტუსს“ უნდა დაეჭიდონ. „იუვე“ მოგეხსენებათ, მეორე ადგილზეა, ლიდერ „ინტერს“ ერთადერთი ქულით ჩამორჩება და იცის, რომ „ინტერი“ „პიაჩენცას“ მასპინძლობს, ანუ წესითა და რიგით, სამ ქულას მოიპოვებს.

და არის კიდევ ერთი გუნდი, „რომა“, ჯერაც ჩემპიონი, რომელიც თავის მხრივ „ბებერ ქალბატონს“ ჩამორჩება ერთი ქულით და მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მეოთხე ადგილზე გასვლისთვის დაგეშილ „კიევოს“ ელის. მას სკუდეტოს პრეტენდენტთა შორის ყველაზე რთული მატჩი ელის, თუმცა მაინცდამაინც იოლი არც „იუვე“ — „ბრეშა“ იქნება, რამეთუ „ბრეშა“ სერია A-ში დარჩენას ლამობს და უკიდურესად სჭირდება ქულები.

და ისევ ბაჯოს დავუბრუნდეთ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და იტალიელ ერს მისი იაპონია-კორეაში გამგზავრება გამოტირებული რომ ჰქონდა, იმედი ხელახლა და ძალიან დიდი ძალით ჩაესახა. მოგეხსენებათ, 35 წლის ვარსკვლავი ისე იყო დაშავებული, რომ მის მოედანზე დაბრუნებას არავინ ელოდა, ის კი, როგორც ამბობენ, სასწაულებრივად გამოჯანმრთელდა და წინა ტურში „ფიორენტინას“ ორი გოლიც გაუტანა.

აი, ის კი შეიძლება არ გახსოვდეთ, რომ წინა სეზონში, „დელე ალპიზე“ ამავე გუნდების შეხვედრაში სწორედ რობერტო ბაჯოს გოლმა მოუპოვა თავისიანებს სერია A-ში დარჩენისთვის საჭირო ქულა, რითაც, მეორე მხრივ, „ბებერ ქალბატონს“ მიაყენა სერიოზული დარტყმა საჩემპიონო ბრძოლაში.

ახლა პირად ურთიერთობებზე: რობერტო ბაჯოს „იუვენტუსის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი არ უყვარს. მიზეზი: ბაჯომ გამოსცა წიგნი, რომელშიც წერია, რომ მისი „ბებერ ქალბატონში“ ყოფნისას მწვრთნელმა მას თანაგუნდელების ჯაშუშობა დაავალა და უარი რომ მიიღო, აითვალწუნა.

და კიდევ, ბაჯომ „დელე ალპიზე“ (თუნდაც „ბრეშა“ დამარცხდეს) გოლი რომ გაიტანოს, „სკუადრა აძურას“ თავკაცს, ჯოვანი ტრაპატონის, ერთბაშად გაათმაგებული ზეწოლის გაძლება მოუწევს.

ახლა კი გაზაფხულის ერთი წვიმიანი დღე გავიხსენოთ. ნუ იფიქრებთ, რომ ლირიკული გრძნობა მოგვეძალა, უბრალოდ, 1999-2000 წლების სეზონის ბოლო ტურში, პერუჯაში ისეთი თავსხმა იყო, მასპინძელთა და „იუვენტუსის“ შეხვედრა რის ვაი-ვაგლახით ჩატარდა (მთელი საათი მარტო მოედნის შემოწმებას მოუნდა) და როდესაც დამთავრდა, ტაბლოზე „პერუჯას“ სასარგებლოდ 1:0 ეწერა — „იუვემ“ ჩემპიონობა დაკარგა. ბუნებრივია, იკითხავთ, რატომ გაგვახსენდა ეს ამბავი. იმიტომ, რომ მაშინ „ბებერი ქალბატონის“ კარში ერთადერთი გოლი ალესანდრო კალორიმ გაიტანა, ის კი დღეს არც მეტი, არც ნაკლები, „ბრეშაში“ თამაშობს.

ამასობაში კი „ინტერის“ მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი ორ შესაძლო სცენარს ელოდება. პირველი: „ინტერი“ „პიაჩენცას“ ამარცხებს, „იუვე“ აგებს, „რომა“ კი ვერ იმარჯვებს და „შავ-ლურჯები“ ამ ტურშივე ზეიმობენ ჩემპიონობას. მეორე: ყველაფერი ისე ექცევა, რომ მთავარი ბრძოლა ბოლო ტურში გადადის, რის შედეგადაც კუპერი ერთი კვირის შემდეგ ცალკე იმაზე ინერვიულებს, მისი ბიჭები „ლაციოსთან“ რომში რას შვებიან და თან ხელში ტელეფონი ეჭირება და აქეთ-იქით რეკვას ატეხს, მანდ ანგარიშები როგორ არისო.

არადა, წინა ტურში (თამაშები ერთდროულად მიმდინარეობდა) კუპერს ანუ „ინტერს“ უახლოეს მდევართან ოთხქულიანი უპირატესობა ლამის მოპოვებული ჰქონდა — შეხვედრების დასრულებამდე სამი წუთიღა რჩებოდა — როდესაც პიაჩენცაში იუვენტუსელმა პაველ ნედვედმა გაიტანა გამარჯვების გოლი. ვერონაში კი „კიევოს“ ფედერიკო კოსატომ საკუთრივ მას გაუთანაბრა ანგარიში და...

ზოგადად კი კუპერს „დიდი მეორეადგილოსნის“ რეპუტაცია აქვს. მას ორჯერ ჰყავდა „ვალენსია“ ჩემპიონთა თასის ფინალში, ხოლო „მალიორკა“ ერთხელ თასების თასის ფინალში და... სამივე შემთხვევაში დამარცხდა.

„რომას“ დაცვაში უჭირს. დაშავებულნი არიან კრისტიან პანუჩი, ჯონათან ძებინა და ანტონიო ძაგო. უკვე გავარდნილი „ფიორენტინა“ კი იტალიის თასის ფინალისტს და იმავდროულად სახიფათო ზონაში მყოფ „პარმას“ მასპინძლობს.

და არაფერი გვითქვამს მეოთხე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილისთვის მებრძოლი წყვილის, „ბოლონიასა“ და „ლაციოს“ დაპირისპირებაზე, ისევე, როგორც „ვერონასა“ და „მილანის“ შეხვედრაზე, რომელშიც მილანელებს ბუნებრივია, გამარჯვების და ხსენებულ მეოთხე ადგილზე გასვლის იმედი აქვთ.

და ბოლოს, „მილანმა“ წინასწარი კონტრაქტები გაუფორმა თავდამსხმელებს, იონ დალ ტომასონსა და სიმონე ინძაგის, ასე რომ...

## ინგლისი

დავით გულუა

# ოქრო და ხავსი
## პრემიერლიგაში კვანძი იხსნება

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ტოტენჰემი | - | ლივერპული |
| ასტონ ვილა | - | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | - | სანდერლენდი |
| დერბი | - | ლიდსი |
| ფულემი | - | ლესტერი |
| მიდლსბრო | - | ჩელსი |
| ნიუკასლი | - | ვესტ ჰემი |
| იფსვიჩი | - | მანჩესტერი |
| ხვალ | | |
| ევერტონი | - | ბლექბერნი |
| ზეგ | | |
| ბოლტონი | - | არსენალი |

| საქლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 35 | 23 | 9 | 3 | 72:33 | 78 |
| ლივერპული | 35 | 22 | 8 | 5 | 58:26 | 74 |
| მანჩესტერი | 35 | 23 | 4 | 8 | 86:44 | 73 |
| ნიუკასლი | 36 | 20 | 8 | 8 | 70:48 | 68 |
| ჩელსი | 36 | 16 | 13 | 7 | 63:35 | 61 |
| ლიდსი | 36 | 16 | 12 | 8 | 51:37 | 60 |
| ვესტ ჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 45:53 | 50 |
| ტოტენჰემი | 36 | 13 | 8 | 15 | 47:51 | 47 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 9 | 15 | 35:44 | 45 |
| ასტონ ვილა | 36 | 10 | 14 | 12 | 41:45 | 44 |
| ფულემი | 36 | 10 | 13 | 13 | 36:41 | 43 |
| ევერტონი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:51 | 43 |
| საუთჰემპტონი | 36 | 11 | 9 | 16 | 42:51 | 42 |
| ჩარლტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 36:47 | 42 |
| ბლექბერნი | 35 | 10 | 10 | 15 | 47:46 | 40 |
| ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 43:58 | 40 |
| სანდერლენდი | 36 | 10 | 8 | 18 | 26:48 | 38 |
| იფსვიჩი | 36 | 9 | 9 | 18 | 41:58 | 36 |
| დერბი | 36 | 8 | 5 | 23 | 32:61 | 29 |
| ლესტერი | 36 | 4 | 12 | 20 | 28:63 | 24 |

**კვირას** და ორშაბათს დიდი ბრიტანეთის ინგლისურ ნაწილში მხოლოდ თითო საფეხბურთო ძვრა იქნება. ბოლო უქმე დღეს „ევერტონი“ „ბლექბერნ როვერსს“ უმასპინძლებს და აქ დიდი არაფერია საინტერესო. „ევერტონმა“ ერთობ შეიშნო ახალი მწვრთნელის დარიგებანი და დევიდ მოიესმა გუნდს 7-დან 4 მატჩი მოაგებინა. „ბლექბერნიც“ მე-14 ადგილზეა და რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს, ლიგიდან რომ გავარდეს: ვთქვათ, ზედიზედ უნდა გაიმარჯვონ „ბოლტონმა“, „სანდერლენდმა“ და „იფსვიჩმა“, ჩვენ კი გეტყვით, რომ ამგვარი რამ თითქმის წარმოუდგენელია. რას ფიქრობთ, რამდენად დიდია „ბოლტონის“ შანსი გამგელებული „არსენალის“ წინაალმდეგ (თუნდაც საკუთარ სტადიონზე), როცა მეთოფეებს მოგებამ ვინძლო ჩემპიონის ტიტული მოუპოვოს? დიახ, ორშაბათის მატჩისთვის (თუ შაბათს „ლივერპულმა“ წააგო და „მანჩესტერმა“ მაქსიმუმ ფრედ ითამაშა) „არსენალის“ აბორიგენებს და ლეგიონერებს ეცოდინებათ, რომ წარმატებული საათნახევარი პრემიერლიგის მოსაგებად ეყოფათ. საამისოდ არსენ ვენგერი სრულ რაზმს ამზადებს, ტიერი ანრი და დენის ბერხკამპიც ითამაშებენ.

განვაგრძოთ თემა, რომ „ბლექბერნის“ გავარდნა არარეალური ჩანს, როცა მისი ერთ-ერთი მდევარი „იფსვიჩ თაუნი“ თვით „მანჩესტერთან“ არკვევს ურთიერთობებს. ეს იქნება უპრინციპულესი მატჩი, რომელშიც სუსტი ლიგაში დასარჩენ ბოლო ხავსს მოეჭიდება, ძლიერს კი ნამეტნავად სჭირდება ამ ხავსის გაწყვეტა, რომ თავად პრემიერლიგის მოგების შანსი შეინარჩუნოს. სატურნირო ცხრილი უთითებს, რომ „მანჩესტერის“ ჩემპიონობის ამბავი იძირება და საიფსვიჩო შემადგენლობას რომ შევხედავთ, ცხადი ხდება: სერ ალექს ფერგიუსონი უკვე მიხვდა ამას. წინ არის უმნიშვნელოვანესი თამაში ლევერკუზენის „ბაიერთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და დღეს ფერგიუსონმა დასვენების დღე გამოუწერა რუუდ ვან ნისტელროის, რაიან გიგზს, ხუან სებასტიან ვერონს და პოლ სქოულზს. დევიდ ბექემი ავტომატურად ამოვრიცხოთ და „მანჩესტერის“ პრეტორიანული გვარდიიდან იფსვიჩის „როტმან როუდზე“ მხოლოდ როი კინს თუ შევნიშნავთ, რომელმაც ცოტა „ბაიერთან“ პირველ მატჩშიც ითამაშა და ტრავმის მოშუშება დააფიქსირა.

ამ დროს „იფსვიჩი“ დაქოქილია. კლუბი თითქოს სულს ლევდა და პირველი დივიზიონისთვის იყო გახაზირებული, მაგრამ წინა ტურში პატარა ქალაქელებმა „მიდლსბრო“ გააგორეს და იმედი მიეცათ. შინ, „მანჩესტერთან“ ფრეც რომ გაახერხონ, წინსვლის ნიშანი იქნება. „იფსვიჩი“ 2 ქულით ჩამორჩება „სანდერლენდს“, ვისაც დღეს შეუდარებლად იოლი მეტოქე ჰყავს, ოღონდ სტუმრად თამაშობს. ჯორდები ჩარლტონელ „ათლეტებს“ ეწვევიან და კლაუდიო რეინას და გევინ მაკკენს მოისაკლისებენ დისკვალიფიკაციის მიზეზით, ჯეისონ მაკატირს საზარდული აქვს მოსარჩენი, შტეფან შვარცის და პოლ ტირლველის თამაშსაც საჩინო კითხვის ნიშნები აზის. კიდევ: 3 ცალკეულ ტრავმას იშუშებს კევინ ფილიპსი და თითქოს მოიშუშა კიდეც, რადგან ამბობენ, დღეს მოედანზე იქნებაო.

სრულიად თავისუფალი ბურთის გორების უფლება აქვთ „დერბი ქაუნთის“ და „ლესტერს“. ამათი უფროსობა უკვე მომავალ სეზონსა და პრემიერლიგაში ხელახლა ამოძრობის გეგმებს აწყობს და ფეხბურთელებს შეუძლიათ ეფექტებისთვის გავიდნენ მინდორზე, „ცხვრები“ დაუხვდებიან „ლიდსს“, რომელმაც უკვე გაინაღდა მომავალ სეზონში უეფას თასზე თამაში და მოკლედ, ამათი მატჩი აუცილებელი ფორმალობის მეტი არა იქნება რა... „ფულემი“ — „ლესტერიც“ ასევე, ოღონდ ერთი აღსანიშნავი ფაქტით: ლონდონელები მშობლიურ „კრივენ კოტეჯზე“ ბოლო თამაშს ჩაატარებენ, მომდევნო სეზონში „ტემსოდ სტედიუმზე“ გადაინაცვლებენ, რომელსაც „ლოფტუს როუდთან“ გაიყოფენ და იქ იქნებიან მინიმუმ ორი წელი, სანამ ნახსენები „კრივკენ კოტეჟი“ განახლდებოდეს.

„ასტონ ვილას“ უჭირს. 9 თამაშში 4 ფრე და 5 წაგება ის შედეგი არ არის, რისთვისაც „ვილა პარკის“ ტრიბუნებიდან გრემ ტეილორს ოვაციას უძღვნიან. ინგლისის ნაკრების წევრი დარიუს ვასელი „საუთჰემპტონთან“ ითამაშებს, ხოლო სამხრეთელებს ნაღდად დააკლდებათ კოჭმტკივანი კრის მარსდენი, ხოლო 50 პროცენტით — საზარდულმოშლილი მარიან პახარსი და აქილევსის მყესდაშავებული ანდერს სვენსონი.



რუუდ ვან ნისტელროი ერთი მატჩით, გარი ნევილი კი დიდი ხნით დაისვენებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

სოლომონ გულისაშვილი



შტეფან ეფენბერგს ბუნდესლიგაში აღარ დაედგომება

# ერთი ნაბიჯის

**დღეს**, შესაძლოა, ლევერკუზენის „ბაიერი“ ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება თუ ლევერკუზენელებმა ნიურნბერგში მოიგეს, ხოლო „დორტმუნდმა“ ჰამბურგში წაიფორხილა.

ბოლო კვირა გერმანული მედია კლაუს ტოპმიოლერის გუნდს საგანგებო ყურადღებას უთმობს. წინა ტურში შინ „ვერდერთან“ დამარცხებამ თითქოს ყველაფერი არია, მავანთ შარშანწინდელი ამბავი გაახსენდათ, როცა ბოლო ტურში ლევერკუზენელებს უნტერჰახინგში ჩემპიონობისთვის ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდნენ და პირველობა „ბაიერნს“ დარჩა. თითქოს სცენარი უნდა გამეორდეს, მაგრამ ოთხშაბათს ლიგის ნახევარფინალში „მანჩესტერთან“ საუცხოო თამაშის შემდეგ კრიტიკოსები ისევ მიყუჩდნენ. ბაიერელებმა „ოლდ ტრეფორდზე“ ყველას შეახსენეს, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და ბუნდესპირველობისთვის ბრძოლას კვლავაც ჩვეული შემართებით განაგრძობენ. აკი თქვა კიდეც ტოპმიოლერმა „ვერდერთან“ მარცხის შემდეგ: ფარხმალის დაყრას არ ვაპირებთ და ამას შემდეგ ტურში „ნიურნბერგთან“ დავამტკიცებთო. გუშინ კი ჰერ კლაუსმა ერთხელაც გაიმეორა, ამ ეტაპზე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნდესლიგის ჩემპიონობააო.

ნებისმიერი შედეგის მიუხედავად, „ბაიერის“ უფროსობა ტოპმიოლერთან მრავალწლიან თანამშრომლობას აპირებს. მენეჯერი რაინერ კალმუნდი ამბობს: ჩათვალეთ, რომ კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე უკვე მოვილაპარაკეთ, მალე სეზონი დამთავრდება და მერე უკვე კონკრეტულ საკითხებზე შევთანხმდებით. შეგახსენებთ, 50 წლის ტოპმიოლერს კლუბთან ხელშეკრულება 2003 წლის ივნისში უმთავრდება, მაგრამ, ჩანს, ფარმაცევტული გიგანტის გუნდს მერეც შემორჩება.

განა კალმუნდს გაემტყუნება? ბოლო დროს ხომ „ბაიერმა“ არნახულ წარმატებებს მიაღწია და სალაროც გვარიანად შეივსო, წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში თამაშმა კლუბი 21 მილიონი ევროთი გაამდიდრა, ხოლო წლიურმა ბრუნვამ 75 მილიონი ევრო შეადგინა. არადა, წარმოიდგინეთ, ლევერკუზენი ერთი პატარა ქალაქია, რომელსაც კიოლნის გარეუბანსაც უწოდებენ ხოლმე. საკუთარი აეროპორტიც არ აქვს და მოწინააღმდეგეები იქ დიუსელდორფიდან ჩადიან.

მამაცურმა მანჩესტერულმა ბრძოლამ ბაიერელები ისევ პატივსაცემ ძალად აქცია. ეს მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმაც დაადასტურა: ლევერკუზენელები ბუნდესლიგაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. შარშანდელთან შედარებით მენტალურადაც მომძლავრდნენ და თუ იჩემპიონეს, ლოგიკური და დამსახურებული ამბავი იქნებაო.

დღეს ლევერკუზენელებს დისკვალიფიცირებული ულფ კირსტენი არ ეყოლებათ, „ნიურნბერგს“ კი უკან დასახევი გზა აღარ აქვს, ბოლოდან მესამე „ფრაიბურგს“ ერთი ქულითღა უსწრებს და თუ წაიფორხილა, ეგებ ბუნდესლიგასაც დაემშვიდობოს. ეს ყველაზე უკეთ მწვრთნელ კლაუს აუგენტალერს ესმის და თუ კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციას ვერწმუნებით, ლიდერთან გამარჯვებას გეგმავს.

მეორეზე მდგარი „დორტმუნდი“ ჰამბურგს დასჯილი ბრაზილიელი მცველის, ევანილსონის გარეშე ეწვევა. უეფას თასის ფინალისტს ჰამბურგში 1997 წლის მერე აღარ წაუგია და მისი „გასვლის გუნდის“ სახელსაც თუ გავიხსენებთ, მასპინძლებს მთლად კარგი დღე არ უნდა დაადგეთ.

„ბაიერნი“ კი კერკეტ, თუმცა უკვე უმოტივაციო „ვოლფსბურგს“ ესტუმრება. უმოტივაციოობა გერმანიაში არ ნიშნავს, რომ გუნდი თავს დაზოგავს. ვინც ბუნდესლიგის მატჩებს უცქერს, ვოლფგანგ ვოლფის შეგირდთა ჟინიანობა კარგად ეცოდინება. „ბაიერნს“ კი სამი ქულა ჰაერივით სჭირდება, სასწორზე ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა-ვერმოხვედრის საკითხი დგას. „კიკერი“ წერს, რომ მიუნხენელთა შემადგენლობაში კვლავაც არ იქნება კაპიტანი შტეფან ეფენბერგი. ბეკენბაუერი დასძენს: „ვოლფსბურგი ინდუსტრიული ქალაქია და უმუშევართა თაობაზე თავისი განცხადების მერე ეფენბერგის მოედანზე გაყვანა მთლად უხიფათო არ უნდა იყოს. მისი გამოჩენა ადგილობრივმა ფანებმა, შესაძლოა, პროვოკაციადაც კი აღიქვან. სხვა მხრივ, შტეფანი წლების მანძილზე წარმატებით თამაშობდა „ბაიერნში“ და ღირსეულ გაცილებას იმსახურებს. ვფიქრობთ, ის „ჰანზასთან“ უკანასკნელი ტურის მატჩში ბოლოსკენ გამოვიყვანოთ, მაგრამ ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია“.

რამდენიმე დღის წინ ხმა დაირხა, ეფენბერგი ინგლისურ პრემიერლიგაში დაბრუნებულ „სიტიში“ გადადის და ბრიტანელები კვირაში 60 ათას დოლარს გადაუხდიანო, მაგრამ თავად ეფემ ეჭვები გაფანტა და თქვა, „მეინ როუდზე“ არაფერი მესაქმებაო.

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ვოლფსბურგი | - | ბაიერნი |
| მიუნხენი | - | შტუტგარტი |
| ლაუტერნი | - | კოტბუსი |
| კიოლნი | - | ფრაიბურგი |
| ჰამბურგი | - | დორტმუნდი |
| ვერდერი | - | ზანქტ-პაული |
| ნიურნბერგი | - | ლევერკუზენი |
| ჰერტა | - | შალკე |
| ჰანზა | - | გლადბახი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 32 | 20 | 6 | 6 | 75:36 | 66 |
| დორტმუნდი | 32 | 19 | 7 | 6 | 56:29 | 64 |
| ბაიერნი | 32 | 18 | 8 | 6 | 61:23 | 62 |
| შალკე | 32 | 18 | 7 | 7 | 51:32 | 61 |
| ჰერტა | 32 | 17 | 7 | 8 | 58:36 | 58 |
| ვერდერი | 32 | 16 | 5 | 11 | 50:39 | 53 |
| ლაუტერნი | 32 | 16 | 5 | 11 | 55:49 | 53 |
| შტუტგარტი | 32 | 12 | 10 | 10 | 40:37 | 46 |
| მიუნხენი | 32 | 14 | 4 | 14 | 52:54 | 46 |
| ვოლფსბურგი | 32 | 12 | 7 | 13 | 55:47 | 43 |
| ჰამბურგი | 32 | 10 | 10 | 12 | 45:49 | 40 |
| გლადბახი | 32 | 9 | 11 | 12 | 38:48 | 38 |
| კოტბუსი | 32 | 9 | 8 | 15 | 34:53 | 35 |
| ჰანზა | 32 | 9 | 6 | 17 | 32:50 | 33 |
| ნიურნბერგი | 32 | 8 | 4 | 20 | 30:55 | 28 |
| ფრაიბურგი | 32 | 6 | 9 | 17 | 33:59 | 27 |
| კიოლნი | 32 | 5 | 8 | 19 | 21:59 | 23 |
| ზანქტ პაული | 32 | 4 | 10 | 18 | 33:64 | 22 |

საინტერესო მატჩია ბერლინშიც, სადაც „ჰერტა“ „შალკეს“ მასპინძლობს. ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და როგორი თამაში იქნება, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ გელზენკირხენელთა ამჟამინდელი თავკაცი ჰუუბ სტევენსი გაისიდან ბერლინური კლუბის მწვრთნელი გახდება.

ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ ხავსს კიდევ ერთხელ მოეჭიდება და კიოლნში გამარჯვებას ეცდება. მასპინძლები კი ფრის შემთხვევაშიც დაბალ ლიგაში ოფიციალურად დაქვეითდებიან და ადვილი სავარაუდოა, რომ ფინკეს გუნდს „მიუნგერსდორფზე“ ცხელი საღამო ელის. „კიკერის“ ვერსიით, ქართველთაგან ძირითადში ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ითამაშებენ.

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# არა გადიდგულდეთ

## ეიფორია საფეხბურთო შიდსია

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბარსელონა | - | ვილიარეალი |
| სოსიედადი | - | რეალი |
| ვალენსია | - | ესპანიოლი |
| ხვალ | | |
| სარაგოსა | - | სელტა |
| სევილია | - | ალავესი |
| რაიო ვალეკანო | - | ბილბაო |
| ოსასუნა | - | ლას პალმასი |
| ტენერიფე | - | ვალიადოლიდი |
| მალიორკა | - | ბეტისი |
| დეპორტივო | - | მალაგა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 35 | 18 | 12 | 5 | 45:26 | 66 |
| რეალი | 35 | 19 | 8 | 8 | 69:38 | 65 |
| დეპორტივო | 35 | 18 | 7 | 10 | 57:39 | 61 |
| სელტა | 35 | 15 | 12 | 8 | 62:43 | 57 |
| ბარსელონა | 35 | 16 | 9 | 10 | 58:35 | 57 |
| ბეტისი | 35 | 14 | 14 | 7 | 39:28 | 56 |
| ალავესი | 35 | 16 | 3 | 16 | 40:41 | 51 |
| ბილბაო | 35 | 13 | 10 | 12 | 48:59 | 49 |
| მალაგა | 35 | 12 | 13 | 10 | 40:39 | 49 |
| ესპანიოლი | 35 | 13 | 8 | 14 | 45:50 | 47 |
| ვალიადოლიდი | 35 | 12 | 9 | 14 | 38:52 | 45 |
| სევილია | 35 | 11 | 11 | 13 | 46:39 | 44 |
| ვილიარეალი | 35 | 10 | 10 | 15 | 43:49 | 40 |
| რაიო | 35 | 10 | 10 | 15 | 40:50 | 40 |
| სოსიედადი | 35 | 11 | 7 | 17 | 41:52 | 40 |
| ლას პალმასი | 35 | 9 | 12 | 14 | 37:45 | 39 |
| მალიორკა | 35 | 10 | 9 | 16 | 37:48 | 39 |
| ოსასუნა | 35 | 9 | 11 | 15 | 32:45 | 38 |
| სარაგოსა | 35 | 9 | 9 | 17 | 33:50 | 36 |
| ტენერიფე | 35 | 9 | 8 | 18 | 28:50 | 35 |

თანაბარქულიან გუნდებში უპირატესობა მინიჭებული აქვს ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს

**ამ ტურში** წყვილები ისე დალაგდნენ, რომ ბობოლებიც ასცდნენ ერთმანეთს და აუტსაიდერებიც, ხოლო გათამაშების ცხრილში იმგვარი ვითარებაა, ძნელად თუ ვინმეზე იტყვით, ქულები არ სჭირდებაო — ქულები ყველას უნდა (თან სამ-სამი) და მერე როგორ...

დაქვეითებული და გასავარდნთა ზონის შორიახლოს მყოფი „სოსიედადი“ საჩემპიონოდ მომართულ „რეალს“ მასპინძლობს და თუმც ქულები ჰაერივით სჭირდება, საფეხბურთო ლოგიკის თანახმად, მსოფლიო ფეხბურთის გრანდთან ვერაფერი უნდა გააწყოს. მაგრამ ფეხბურთში ლოგიკა ერთობ ულოგიკო რამაა და თან ასეთი წესიც არსებობს — ეიფორია და მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობა მეტწილად დამარცხებას იწვევს. ხოლო იმის გასაგებად, თუ რატომ შეიძლება „რეალი“ ეიფორიაში იყოს, „ბარსელონასთან“ მოგებული მატჩი გაიხსენეთ.

თუმც მადრიდელთა ბანაკში ისეთი განწყობაა, სანსებასტიანური მატჩის მნიშვნელობა სრულად ესმით. „ჩვენთვის ფრეც წაგების ტოლფასია, რაკი „ვალენსიას“ გადასწრების შანსს ფაქტობრივად დაგვაკარგვინებს — თქვა „რეალის“ არგენტინელმა სანტიაგო სოლარიმ — ამასთანავე „სოსიედადი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, რაკი ესპანეთი ის ქვეყანაა, სადაც შედარებით სუსტებს ძლიერის დამარცხება შეუძლია“.

დავძინოთ, რომ სოლარი სალად კი აზროვნებს, მაგრამ ბასკთა ქვეყანაში დედაქალაქელებს ვერაფრით დაეხმარება — ის დაშავებულია, ისევე როგორც ფერნანდო მორიენტესი, გუტი და კლოდ მაკელელე.

ლიდერ „ვალენსიას“, რომლის ვერმოგებასაც „რეალი“ მოუთმენლად ელის, წინა ტურში „დეპორტივოს“ ძლევის მერე თავი ყინჩად უჭირავს და ისიც ახსოვს, რომ ესპანეთის ჩემპიონი 1971 წლის მერე არ გამხდარა. ვალენსიელთა მეტოქე ცხრილის შუაში გაჩხერილი „ესპანიოლია“, რომელიც კლასით ბევრად ჩამორჩება და თან წლეულს სტუმრად თამაში უჭირს. შესაბამისად, რაფაელ ბენიტესის გუნდმა უნდა მოიგოს, თუ, რა თქმა უნდა, ეიფორიამ არ შეიპყრო.

ეიფორია ვახსენოთ „სელტასთან“ მიმართებაშიც, რაკი ვიგოელებმა წინა ტურში „ბარსელონა“ დაამარცხეს და მეოთხე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე მოიკიდეს ფეხი. ისინი „რეალ სარაგოსას“ სტუმრობენ, რომელმაც ვინძლო ბოლოჯერ გაიბრძოლოს პრიმერადივიზიონში დასარჩენად და იმის იმედად იყოს, რომ „სელტას“ დისკვალიფიცირებული ხუანფრანი დააკლდება.

„რეალისა“ და „სელტას“ ეიფორიაში შესაძლო ყოფნა „ბარსელონას“ დამარცხებას დავუკავშირეთ და კატალონიელებისაც ვთქვათ. ოღონდ აქ გამოვტოვოთ მოსაწყენი და საყოველთაოდ ცნობილი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „ბარსელონასთვის“ გამარჯვებას და აღვნიშნოთ, რომ ტრავმა მოიშუშა და, ალბათ, სათამაშოდ გავა... არა, რივალდო კვლავაც დაშავებულია — იტალიელი მცველი ფრანჩესკო კოკო, ხოლო „კამპ ნოუზე“ სტუმრის რანგში გასულ „ვილიარეალს“ მარტინ პალერმოს იმედი თუ ექნება.

„დეპორტივომ“ ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად დაკარგა, მაგრამ იოტისოდენა შანსი სანამ გვაქვს, ბრძოლას არ შევწყვეტთო, უთქვამს ლაკორუნიელთა თავკაც ხავიერ ირურეტას, შეგირდებიც ამგვარად განუწყვია და „მალაგას“ დამარცხებისთვის მოუმართავს. ამასთანავე გალისიელებს მთავარმეგოლე დიეგო ტრისტანიც დაუბრუნდათ, რომელსაც „ვალენსიასთან“ შეხვედრა ტრავმის გამო გაუცდა.

წინა ტურში, „მალაგასთან“, „მალიორკას“ ვისენტე ენგონგა გაუძევეს, მაგრამ კლუბმა მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა და სწორადაც მოიქცა — ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა არბიტრის შეცდომა აღიარა და ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მოუხსნა. ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი და პრიმერადივიზიონში დარჩენის სურვილით აღტკინებული კუნძულელები „რეალ ბეტისს“ დაუხვდებიან. სევილიური კლუბის მდგომარეობა კი ისეთია, რომ შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგასაც შესწვდეს, ყოველ შემთხვევაში, უეფას თასის საგზური ფაქტობრივად განაღდებული აქვს.

უეფას თასზე გასვლის მოსურნეები არიან „ალავესი“ და „ბილბაოც“. სევილიაში ჩასულ ვიტორიელებს დისკვალიფიცირებული ხორდი კრუიფი და დაშავებული ფაბრიციო კოლოჩინი დააკლდებათ, რომელთა შეცვლასაც ხოსე მანუელ ესნალ პარდო მაურისიო ასტუდილიოთი და ანტონიო კარმონათი აპირებს, ხოლო მადრიდში, „რაიო ვალეკანოსთან“ ჩასული ბილბაოელები რამდენიმე ფეხბურთელს შინ — ლაზარეთში დატოვებენ.



მსაჯისგან დაჩაგრულმა ვისენტე ენგონგამ სამართალი ფედერაციაში იპოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიდი-მოდი, ადი-ჩადი

ევროპაში სეზონი მთავრდება და დიდი გადაჯგუფება იწყება: ჩემპიონობის მაძიებლები, ევროთასებზე მოხვედრის მსურველნი და გასავარდნად გამზადებულები ბოლო ძალებს იკრეფენ. ერთი ეგაა, უკვე გავარდნილებს აღარაფერი ეშველებათ.

და რაკი სეზონი დასკვნით ეტაპზეა, ურიგო არ უნდა იყოს, ქვეყნებსა და დივიზიონებში მოქმედი კვოტებისა და წესებისთვის თვალის გადავლება — საიდან რამდენი გუნდი გადის ჩემპიონთა ლიგაში, უეფას თასზე, ქვეითდება და აღზევდება.

### იტალია
**სერია A**
ჩემპიონთა ლიგა: 4
უეფას თასი: 3
ვარდება: 4

**სერია B**
გადადის: 4
ვარდება: 3

### ესპანეთი
**პრიმერადივიზიონი**
ჩემპიონთა ლიგა: 4
უეფას თასი: 3
ვარდება: 3

**მეორე დივიზიონი**
გადადის: 3
ვარდება: 4

### ინგლისი
**პრემიერლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 4
უეფას თასი: 3
ვარდება: 3

**პირველი დივიზიონი**
გადადის: პირდაპირ 2 და 3-6 ადგილების პლეიოფის გამარჯვებული
ვარდება: 3

### გერმანია
**ბუნდესლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 3
უეფას თასი: 3
ვარდება: 3

**მეორე ბუნდესლიგა**
გადადის: 3
ვარდება: 4

### საფრანგეთი
**პირველი დივიზიონი**
ჩემპიონთა ლიგა: 3
უეფას თასი: 3
ვარდება: 2

**მეორე დივიზიონი**
გადადის: 4
ვარდება: 2

### ჰოლანდია
**პირველი დივიზიონი**
ჩემპიონთა ლიგა: 3
უეფას თასი: 3
ვარდება: პირდაპირ 1 და 16-17 ადგილები პლეი ოფში

**მეორე დივიზიონი**
გადადის: პირდაპირ 1 და 2-5 ადგილები პლეიოფში
ვარდება: 2

### პორტუგალია
**პირველი ლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას თასი: 2
ვარდება: პირდაპირ 3

**მეორე ლიგა**
გადადის: 3
ვარდება: 3

### ბელგია
**პირველი დივიზიონი**
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას თასი: 2
ვარდება: 2

**მეორე დივიზიონი**
გადადის: 2
ვარდება: პირდაპირ 2 და 16 ადგილი პლეი ოფში

### შოტლანდია
**პრემიერლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 1
უეფას თასი: 3
ვარდება: 1

**პირველი დივიზიონი**
გადადის: 1
ვარდება: 2

### თურქეთი
**პირველი ლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას თასი: 4
ვარდება: 3
გადმოდის: 3

### საბერძნეთი
**პირველი ლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას თასი: 4
ვარდება: 1
გადმოდის: 3

### ჩეხეთი
**პირველი ლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას თასი: 2
ვარდება: 2
გადმოდის: 2

### ავსტრია
**ბუნდესლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 2
უეფას თასი: 2
ვარდება: 1
გადმოდის: 1

### შვეიცარია
**პირველი ლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 1
უეფას თასი: 3
ვარდება: 4
გადმოდის: 4

### პოლონეთი
**პირველი ლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 1
უეფას თასი: 3
ვარდება: 3
გადმოდის: 3

### დანია
**სუპერლიგა**
ჩემპიონთა ლიგა: 1
უეფას თასი: 3
ვარდება: 2
გადმოდის: 2



ხუან გასპარმა კარლოს რექსაჩს ლამის „ბარსელონა" ანაცვალოს

# ხუანის სიზმარი
## გასპარმა რეალს თასები დაუთვალა

კვლავ „ბარსელონა", კვლავ „რეალი"... მორიგი სუპერკლასიკო ამჯერად მადრიდელებმა მოიგეს, მაგრამ მოგებაცაა და მოგებაც. „რეალმა" ხომ 18-წლიანი შესვენების მერე „კამპ ნოუზე" პირველად გაიხარა, თუმცა ხელალებით ვერ ვიტყვით, საქმე მოითავაო, სხვა თუ არაფერი, მოწინააღმდეგე ვინმე ბოგანო არაა, „ბარსელონა", რაც უნდა ცუდად თამაშობდეს, მადრიდელთა დაუძინებელი მტერია.

არ ცხრება ესპანურ პრესაში კომენტარები, პუბლიკაციები თუ სპეციალისტთა მოსაზრებები, თვით მადრიდული გაზეთებიც იმ დასკვნამდე მიდიან, რომ გლაზგოს „ჰემპდენ პარკამდე" არც ისე ახლოა.

ეს ახლო კი მომავალი ოთხშაბათია, სუპერკლასიკო ევროპულად, მეორე სერია, „სანტიაგო ბერნაბეუ", „რეალი" — „ბარსელონა"...

კატალონიელმა შეიძლება აიტანოს საყვარელი გუნდის მარცხი „ალავესთან", „დეპორტივოსთან", „სევილიასთან" და მისთანებთან, მაგრამ არამც და არამც „რეალთან". ყველა, დაწყებული ბავშვიდან, დამთავრებული მოხუცით, „სანტიაგო ბერნაბეუზე" რევანშს ითხოვს.

არ სძინავს კატალონიას, არ სძინავს ხუან გასპარსაც. ეს კაცი, იცით, „ბარსელონას" პრეზიდენტია. კაცი, რომელიც ჯიუტად ენდობა კარლოს რექსაჩს, კაცი, რომელსაც გვერდში მყოფნი შემოეცალნენ, „რეალთან" ნამატჩევს თავჩაქინდრული, გასაცოდავებული სახით რომ იდგა „კამპ ნოუს" ტრიბუნაზე.

სიმართლე გითხრათ, მოველოდით, ხუან გასპარი კარლოს რექსაჩს დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდა, მაგრამ...

ხუან გასპარი თავის ფეხბურთელებს და მწვრთნელს სრულ ნდობას უცხადებს და „რეალს" პრესის ფურცლებიდან ემუქრება: „გითხრათ სიმართლე, მადრიდის „რეალს" რამდენჯერ აქვს ჩემპიონთა თასი მოგებული? მხოლოდ სამჯერ და არა რვაჯერ. 50-60-იან წლებში ზედიზედ ხუთჯერ რომ მოიგეს, ეს არასერიოზული იყო. იმ დროს ისინი საუკეთესონი არ იყვნენ, უბრალოდ, დანარჩენები ვერ უწევდნენ ჯეროვან წინააღმდეგობას. „რეალის" სიძლიერე ჩვენთან თამაშისას გამოჩნდა, როცა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალიდან დავიფრინეთ."

ხუან გასპარს, მისივე თქმით, არ სძინავს, საპასუხო მატჩამდე ღამეებს თეთრად ათენებს, თვალს რული თუ მიეკარა... 16 მაისი, გლაზგოს „ჰემპდენ პარკი" და გულში ჩახუტებული ჩემპიონთა თასი ელიცლიცება.

რექსაჩის თაობაზე პრეზიდენტი ამბობს, რომ მას თავად არ მოხსნის. მწვრთნელს კონტრაქტი ერთი წლის მერე უმთავრდება და თუ თავად არ ისურვა წასვლა...

„ბარსელონას" პრეზიდენტი კი თანამდებობაზე ხუთი წლით აპირებს ყოფნას და ამ ხნის მანძილზე მოვალეობის პირნათლად შესრულებას გვპირდება, როგორ გამოუვა, ეს სხვა საკითხია, თუმცა...

ხოსეპ ლუის ნუნიესი, „ბარსელონას" ყოფილი პრეზიდენტი. მისი ზეობისას „ბარსა" ჩინებულ ფეხბურთსაც თამაშობდა, ტიტულებსაც ბლომად იხვეჭდა და სიტყვას საქმედ აქცევდა. გასპარის მოღვაწეობა კი როგორ შეფასდება, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

**გიორგი გუგაძიძე**


ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

ახალთახალი «რენო მეგანი»




საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან
მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე:
34-41-84, 34-79-81, 92-38-93

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს ჩემპიონატი

# ბასკო და სხვა
## ჩახლართულ-ჩაუხლართავი

**დღეს** მეთერთმეტე ეროვნული პლეი ოფისკენ სავალ ბოლო აღმართს შეუყვება. ორწრემოლეული ექვსეული სპორტის სასახლეში ერთხელაც გაიბრძოლებს და რეგულარული ჩემპიონატიც დასრულდება.

ერთი რამ არის გარკვეული: რაც უნდა მოხდეს, ბათუმის „ბასკო" იპირველებს, თუმც დანარჩენ მეპლეიოფეთა ვინაობასაც დიდი მარჩიელობა არ სჭირდება — „დინამოს", სტუ-„ჯეოსელსა" და „აზოტს" ოთხეულში ადგილების განაწილება უფრო უტრიალებთ თავში, ვიდრე მის მიღმა დარჩენის საშიშროება.

კი, აქვთ შანსი თსუ-სა და „მაკაბის" პლეი ოფში გაღწევისა, მაგრამ მხოლოდ ეს რომ კმაროდეს... განსაკუთრებით მაკაბელთა საქმეა ჭაკად: მეოთხე ადგილი რომ ირგუნონ, ყველა მატჩი უნდა მოიგონ, იქ მყოფმა „აზოტმა" კი — ყველა წააგოს. თუმც ასეც რომ მოხდეს, „მაკაბი" შესაძლოა, მაინც მშრალზე დარჩეს, რადგან რუსთაველთა დაბეჩავებით თსუ-ც იხეირებს. ჰოდა, ნახევარფინალისტებიც გარკვეულან, სასწაულები თუ არ მოხდა, პლეი ოფში ის ოთხი ითამაშებს, ცხრილის თავში რომ ხედავთ და ბოლო წრის დანიშნულებაც ის გახლავთ, მათ ადგილები გაუნაწილოს.

მეორე-მეოთხეზე მყოფნი დიდ დუშმანობას ატეხენ, ჯერჯერობით ზემძლავრ „ბასკოს" პლეი ოფში სასარბაზნე ხორცად რომ არ შეეჩეხონ. სწორედაც რომ ასეა: ჩვენი არც თუ ფრთხილი ვარაუდით, „ბასკო" მეოთხეზე გასულს ნახევარფინალში მოინელებს. და თუ გაუძნელდა, მოედნის უპირატესობა დაეხმარება, რადგან ბათუმში თამაში „ბასკოს" მოგებას ნიშნავს, ასე იყო აქამდე, „აზოტი" რომ „აზოტობდა" და, ალბათ, ახლაც ასე იქნება — „დინამოს" ხომ იმდარი „აზოტობა" სწადია.

მოკლედ, ზღვისპირელები არხეინად არიან და მშვიდად გაადევნებენ თვალს მათთან ასაცდენად მებრძოლი სამეულის ქიშპობას. თვადაც ჩაერევიან ამ ბრძოლებში და მანიპულირებაც რომ არ ითაკილონ, ვერავინ გაამტყუნებს — განა სუსტი არ ურჩევნიათ სანახევარფინალოდ?

| სატურნირო ვითარება ბოლო წრის წინ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 26 | 24 | 2 | +523 | 50 |
| დინამო | 26 | 17 | 9 | +280 | 43 |
| სტუ | 26 | 16 | 10 | +194 | 42 |
| აზოტი | 26 | 15 | 11 | +132 | 41 |
| თსუ | 26 | 12 | 14 | -11 | 38 |
| მაკაბი | 26 | 11 | 15 | -125 | 37 |

| საქართველოს 2002 წლის ჩემპიონატის მეორე ეტაპი | |
|---|---|
| მესამე ტური 1-6 ადგილები | |
| სპორტის სასახლე | |
| 27 აპრილი | |
| ბასკო — თსუ | 12.00 |
| დინამო — მაკაბი | 14.00 |
| აზოტი — სტუ ჯეოსელი | 16.00 |
| 28 აპრილი | |
| აზოტი — თსუ | 12.00 |
| სტუ — მაკაბი | 14.00 |
| ბასკო — დინამო | 16.00 |
| 29 აპრილი | |
| მაკაბი — აზოტი | 12.00 |
| თსუ — დინამო | 14.00 |
| სტუ ჯეოსელი — ბასკო | 16.00 |
| 1 მაისი | |
| დინამო — აზოტი | 12.00 |
| მაკაბი — ბასკო | 14.00 |
| თსუ — სტუ ჯეოსელი | 16.00 |
| 2 მაისი | |
| ბასკო — აზოტი | 12.00 |
| მაკაბი — თსუ | 14.00 |
| სტუ — დინამო | 16.00 |

# დღეს ბურთს როგორ ვითამაშებ, წითელი პარასკევია



გიორგიოს ვასილოკოპულოსი ახლახან თბილისს სტუმრობდა

**სამ და ხუთ** მაისს ბოლონიაში გასამართ ევროლიგის ოთხთა ფინალის წინააღმდეგ საბერძნეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გაილაშქრა. საქმე ისაა, რომ ეს დღეები ხსენებული კონფესიის ორ უდიდეს დღესასწაულს — წითელ პარასკევს და წმინდა აღდგომას ემთხვევა.

— ჩვენ მოვითხოვთ, ეს მატჩები გადაიდოს. დიდი შეცდომაა საკალათბურთო მატჩების და საერთოდ ნებისმიერი ღონისძიების ასეთ წმინდა დღეებში გამართვა — აცხადებს საბერძნეთის არქიეპისკოპოსი ქრისტოდულოსი.

აღშფოთება გამოუთქვამთ და მაღალსამღვდელოებას მიმხრობიან ელინთა სპორტის მინისტრი იანის კურაკისი და ახლახან თბილისს ნასტუმრები ბერძენთა კალათბურთის ფედერაციისა და ფიბაევროპის პრეზიდენტი გიორგიოს ვასილოკოპულოსი. მათი განცხადებით, ამგვარი რამ მართლაც არასწორია, მაგრამ ახლა უკვე გვიანია რაიმეს შეცვლა, რადგან დიდი საორგანიზაციო საქმე და ხარჯია გაწეული და ყველაფერი მზადაა მატჩების ამ დღეებში გასამართად. მათივე თქმით, ფინალური შეხვედრები ადრეც გამართულა წმინდა დღეებში, მათ შორის საბერძნეთშიც, მაგრამ არასდროს — აღდგომას ანაც წითელ პარასკევს.

მაგრამ საბერძნეთში, ავიწყდებათ, რომ ოთხთა ფინალი ტარდება იტალიაში, რომელიც კათოლიკური ქვეყანაა და წლეულს ეს დღესასწაულები მართლმადიდებლებზე 6 კვირით ადრე დაუდგათ. თანაც საბერძნეთი ერთადერთი მართლმადიდებელი სახელმწიფოა, ევროლიგის ორგანიზატორ ულებ-ში რომაა გაწევრიანებული.

ისე, ბერძნები („პანათინაიკოსი") შესაძლოა, აღდგომას უქმადაც შეხვდნენ, წითელ პარასკევს ნახევარფინალში „მაკაბისთან" თუ წააგებენ.

**ირაკლი ბერტაია**

## ხელბურთი

| საქართველოს XII ჩემპიონატი ვაჟები |
|---|
| 26 აპრილი |
| სტუ-შევარდენი 44:30 მართვე |
| თბილისი 30:28 გლდანი |
| საუ-მამული 10:0 ცერო |

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 21 | 0 | 0 | +313 | 63 |
| თბილისი | 12 | 2 | 7 | +12 | 38 |
| საუ-მამული | 11 | 2 | 8 | +15 | 35 |
| გლდანი | 10 | 2 | 9 | -41 | 32 |
| მართვე | 5 | 0 | 16 | -93 | 15 |
| ცერო | 1 | 0 | 20 | -206 | 3 |

NBA PLAYOFFS 2002

პლეი ოფი პირველი წრე, სამ მოგებამდე



ძველი ჩემპიონი სკოტი პიპენი ახლებთან ბრძოლაში დაეცა

REUTERS

# გადაახვიეთ ისტორია: ჩართეთ ლეიკერს-ბოსტონი

| 25 აპრილი | |
|---|---|
| **აღმოსავლეთი** | |
| ბოსტონი | 2 |
| ფილადელფია | 0 |

**ბოსტონი 93:85 ფილადელფია**

**ბოსტონი: პირსი (25 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (24 ქულა, 10 მოხსნა), ანდერსონი (12), ბათი (12)**

**ფილადელფია: აივერსონი (29), მაკკი (16), კოულმენი (13 ქულა, 13 მოხსნა)**

ხარობენ ბოსტონელები და თან მეტი ხეირის მოლოდინში ხელებს იფშვნეტენ. მათი ჯილა, ნბა-ს ყველაზე უხვტიტულა გუნდი „ბოსტონ სელტიქსი" ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ კვლავ შეერია მეპლეიოფეთა მარაქას. თან არა რიგით, წინასწარ განწირულ წევრად, არამედ სხვათა დამჯაბნად, რაც თავისთავად ზღვა კმაყოფილებას გვრის ბოსტონელთ.

მეტოქეთა თავზემოთ მუქარით შემართულმა „კელტებმა" გუშინწინ მეორედაც დასცეს შარშან აღმოსავლეთის დამპყრობი „ფილადელფია" და ომში 2:0 დაწინაურებულნი შტატების ძველ დედაქალაქ ფილადელფიაში საპასუხო ლაშქრობას გასეირნებად თვლიან.

„ფილადელფია" შესანიშნავი გუნდია, მაგრამ ჩვენსავით კარგი ვერაა და შარშანდელივითაც ვეღარ ბუბუნებს. ვფიქრობ, მეორე წრეში დაუმარცხებლად გავალთ. ჩათვალეთ, რომ უკვე იქ ვართ, ფსიქოლოგიურად უკვე ვემზადებით „დეტროიტთან" საომრად" — მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში პირველად თამაშობს, „კელტების" ერთ-ერთი საპარკეტო ბელადთაგანი ანტუან უოლკერი, იქ თავს შინაურულად გრძნობს და აგერ, იძახის, ვიცე-ჩემპიონებს 3:0 მოვუგებთო.

უოლკერმა და მისმა დოსტმა პოლ პირსმა არც სერიის მეორე მატჩში შეირცხვინეს თავი და კვლავაც აოტნეს ჭინკა ალენ აივერსონი თავის რაზმითურთ. უოლკერი მხოლოდ უშუალო საქმით, მეტოქის კალათის რბევით როდი შემოიფარგლა, სტუმართა თავდამსხმელ, თავისზე არანაკლებ ზორბა დერიკ კოულმენს წაეკიდა და განსაკუთრებულად ემოციურ ქომაგებს ფილადელფიელები მსუბუქად აგინებინა.

„კელტთა" პოპულარობა ამ სიმპათიურ ამერიკულ ქალაქში დღითი დღე იზრდება. ადგილობრივი ცხელსისხლიანები განსაკუთრებით პირსსა და უოლკერს ადიდებენ. ეგაა, ლარი ბერდის, ჯონ ჰავლიჩეკის, ბობ [illegible] რსულის სხვა, ლეგენდათა სიმაღლეზე არ ა[illegible] ვანდელმა მწვანე ამქარმა მე-17 ოქრო მიუმატოს „კელტთა" მონაგარს.

| **დასავლეთი** | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2 |
| პორტლენდი | 0 |

**ლეიკერსი 103:96 პორტლენდი**

**ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 14 მოხსნა), ბრაიანტი (19), ფიშერი (18), ფოქსი (13)**

**პორტლენდი: უოლესი (31 ქულა, 11 მოხსნა), პიპენი (20)**

ინტერნეტის ერთ-ერთმა პოპულარულმა სპორტულმა ვებ-გვერდმა გამოკითხვა ჩაატარა და მომხმარებლებს პროგნოზის გაკეთება სთხოვა, თუ რომელი გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს ფინალში. უმრავლესობამ „ლეიკერსი"-„ბოსტონი" გაიყვანა ფინალში. ძნელი სათქმელია, ვის ხვდება ფინალში თამაშის ბედნიერება, ზემონახსენებ ორ გუნდს თავიანთ კონფერენციებში გამარჯვების დაახლოებით იმხელა შანსი აქვთ, რამხელაც, ვთქვათ, „დეტროიტს", „საკრამენტოს" ან „სან ანტონიოს". პირველი წრიდან ფინალის განჭვრეტა ძნელი საქმეა. გამოკითხვამ კი ერთი რამ დაადასტურა — ხალხს კვლავ სურს, ძველმა, 60-იანი და 80-იანი წლების მოსისხლეებმა — „სელტიქსმა" და „ლეიკერსმა" 2000-იანებშიც ასიამოვნონ მწვავე საკალათბურთო შეგრძნების მოყვარულთ.

„ბოსტონის" „ფილადელფიაზე" ზეობის დღეს მე-14 ჩემპიონობისკენ ყოჩაღად მავალმა „ლეიკერსმაც" განიმტკიცა უპირატესობა და თავდაჯერება. ლოსანჯელესელებმა დამაჯერებლად მოუგეს შარშანაც და შარშანწინაც შელახულ „პორტლენდს" და გულზე მჯიღი დაიცეს, გვიყურეთ, რა ძლევამოსილები ვართო. რაც შეეხებათ ჩემპიონთა სტუმრებს, პორტლენდელმა „პიონერებმა" კვლავ დანაკარგით, მაგრამ ღირსეულად დატოვეს ბრძოლის ველი. მათ შეძლეს „ლეიკერსის" ორი ზემობურთალიდან ერთ-ერთის, ამჯერად კობი ბრაიანტის ნაწილობრივ შეჩერება, კობის 21 სროლიდან 16 ააცილებინეს და 19 ქულას დააჯერეს, მაგრამ დამხვდურთა მძიმე არტილერიასთან, შაკილ ონილთან ვერას გახდნენ.

მასპინძლები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სჯობდნენ სტუმრებს. მატჩის დამთავრებამდე ზუსტად ხუთი წუთით ადრე „ლეიკერსი" 96:76 იგებდა. როგორც მოგახსენეთ, „პორტლენდმა" მოახერხა ღირსეული წაგება, მისმა ბებერმა ლიდერმა სკოტი პიპენმა თავისიანები აიყოლია და სამნახევარწუთიანი მონაკვეთი 16:2 მოაგებინა. „ბლეიზერსი" მისი და რაშიდ ვოლესის წყვილი სამქულიანის შემდეგ მატჩის დამთავრებამდე 1:43 წუთით ადრე 98:92 მიეახლა მეტოქეს, მეტი კი აღარ მოუხერხდა.

**ირაკლი ფირცხვილი**

# ჯერმენ, ქვირფასო, ნუ შქვირფასესობ

**ეროვნული** საკალათბურთო ასოციაცია წლეულს სულსწრაფობას იჩენს რეგულარული სეზონის ლაურეატთა დასახელებაში. ეს კვირაა, დღე არ ჩაივლის რომელიმე ოფიციალური ცერემონიის, ვთქვათ, სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის დაჯილდოების გარეშე. აგერ ლიგამ, უფრო კი ლიგის ამბების გამშუქებელ ჟურნალისტთა არმიის თვალსაჩინო ნაწილმა, ოთხ დღეში მეოთხე პარადი ტიტული „გაათამაშა".

სეზონის ახალბედის, მეექვსე მოთამაშის და საუკეთესო დამცველის გამოვლენას ნბა-მ მსწრაფლ მიაყოლა სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის გამოსავლენი გამოკითხვა. 126-მა ჟურნალისტმა თავ-თავის ფავორიტს თითო ხმა უწყალობა და როცა ხმები დაითვალეს, ეს ტიტული 52 ხმის მიმღებ ჯერმენ ონილს შეხვდა. 211-სანტიმეტრიანი ჯერმენი „ინდიანა პეისერზის" ძირითადი თავდამსხმელი, ერთ-ერთი ლიდერი და წლეულს შუასასეზონო ღლაბუცობის „ოლ სტარის" დამჭაშნიკებელია. ყველაზე გაუმჯობესებულად მისი აღიარების საფუძველი მისი კარგი თამაში და გაზრდილი სტატისტიკური მაჩვენებლებია. შარშან მატჩში საშუალოდ ნაჯვეჭი 12,5 ქულიდან და 9,6 მოხსნიდან მან წლეულს 19 ქულამდე და 10,3 მოხსნამდე აიწია, რაც საკმარისი აღმოჩნდა სხვა გაუმჯობესებულთა — დეტროიტელი ბენ ვოლესის (16 ხმა) და დალასელი სტივ ნეშის (9 ხმა) გადასასწრებად. მისი უპირატესობის ამღიარებელმა ჟურნალისტებმა გაითვალისწინეს ნბა-ს ოფიციოზის აზრიც. ნბა-ს მამებმა ჯერმენს ნდობა გამოუცხადეს, როცა წლეულს ინდიანაპოლისში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე აშშ-ის ნაკრებში მიიწვიეს.

ცხოვრებაში პირველი ხელმოსაკიდი ტიტულის მიმღები ჯერმენი თავს ამ ტიტულის ღირსეულ პატრონად თვლის და დიდის ამბით ამბობს, ამ ჯილდოს მომავალ სეზონშიც მივიღებ, თან იმდენად გავუმჯობესდები, ზედ დავაყოლებ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებასო. საკმაო ამბიციაა დღეებით გარემოცული 23 წლის ბიჭუკელასთვის.



ჯერმენ ონილს პირველმა ტიტულმა მადა გაუღიზიანა

**კოტე ყორშია**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური

27 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4,2 | 3,5 | 1,65 | 1,9 | 1,15 | 1,1 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-შტუტგარტი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 18.30 | 003 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 18.30 | 004 | კიოლნი-ფრაიბურგი | 2,2 | 3,3 | 2,1 | 1,3 | 1,05 | 1,25 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 3,4 | 1,75 | 1,7 | 1,15 | 1,15 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-ზტ. პაული | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 18.30 | 007 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,75 | 1,1 | 1,1 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-შალკე | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 18.30 | 009 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,1 | 2,6 | 3,6 | 1,15 | 1,3 | 1,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIII ტური

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | როიტლინგენი-შვაინფურტი | 1,3 | 3,8 | 7,0 | 1 | 1 | 2,45 |
| 18.00 | 011 | უნტერჰახინგი-ალემანია | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 012 | ბოხუმი-უნიონი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 18.00 | 013 | მაინცი-ფიურტი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 18.00 | 014 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-არმინია | 3,2 | 3,1 | 2,0 | 1,55 | 1,2 | 1,2 |
| 18.00 | 016 | ალენი-აინტრახტი | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 18.00 | 017 | ბაბელსბერგი-ზაარბრიუკენი | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| 18.00 | 018 | ვალდჰოფი-კარლსრუე | 1,95 | 2,7 | 3,8 | 1,1 | 1,25 | 1,55 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXI ტური

27 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 021 | ფერლი-დრეზდენი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 17.00 | 023 | ბრაუნშვაიგი-კილი | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 17.00 | 024 | აუე-მიუნსტერი | 1,9 | 3,2 | 2,6 | 1,15 | 1 | 1,4 |
| 17.00 | 025 | ოსნაბრიუკი-ურდინგენი | 2,3 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,4 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXI ტური

27 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 031 | კიკერსი-ჰოფენჰაიმი | 1,8 | 3,2 | 3,6 | 1,1 | 1,1 | 1,65 |
| | | 28 აპრილი | | | | | | |
| 14.00 | 032 | ოფენბახი-დარმშტადი | 1,7 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,75 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVII ტური

27 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 038 | ტოტენჰემი-ლივერპული | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| 19.00 | 039 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 19.00 | 040 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 2,1 | 3,2 | 2,9 | 1,25 | 1,2 | 1,5 |
| 19.00 | 041 | დერბი-ლიდსი | 3,6 | 3,2 | 1,8 | 1,65 | 1,1 | 1,1 |
| 19.00 | 042 | ფულემი-ლესტერი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,3 |
| 19.00 | 043 | მიდლსბრო-ჩელსი | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 19.00 | 044 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 21.35 | 045 | იფსვიჩი-მანჩესტერი | 5,0 | 3,6 | 1,5 | 2,05 | 1,1 | 1,05 |
| | | 28 აპრილი | | | | | | |
| 20.00 | 046 | ევერტონი-ბლექბერნი | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,2 | 1,2 | 1,55 |
| | | 29 აპრილი | | | | | | |
| 24.00 | 047 | ბოლტონი-არსენალი | 6,0 | 3,5 | 1,45 | 2,2 | 1,15 | 1 |

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი ოფი. I მატჩები.

28 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 048 | ბირმინგემი-მილუოლი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
